# ცისკარი.

ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გამოცემა ივ. კერესელიძისა-გან.

16.

ი ა ნ ვ ა რ ი.

წელიწადი მეთექვსმეტე.

«თუ შეიყვარო სმენად, — მიათვალე და უკეთუ მოუპყრა ყური შენი, — ბრძენ იქმნე». (წიგ. ისო ზირ. თავი 6 მუხ. 34)

ტფილისი.

მარტიროსიანის ტიპოგრაფიაში.

1872.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Января 1872 г.

# ანდერძი.

16.

ვიყავ რა წლისა ოც და ცხრისა ვიყიდე ხუდავერდა ასე, რომ აიდარასი ყაფილიყო აიდარამ უჩივლა და სამართალში ორი თუმანი დაადვეს. ეს ორი თუმანი მე მივეც და ნასყიდობის წიგნი მომცა, მერმე მეფესთან მიჩივლეს ციხელებმა, ბატონმაც მიბოძა და ოქმი მიბოძა და ჩემი ყმა არის, ერთი იასო მომცა მართალია, და იმავ დღეს ლეკებმა მოიტაცეს ეს სამართალი არ არის მარა: პირველ მე ვიყიდე მერმე, ის სამსახურში მომართვა. მეც ეს მიქმნია რომ იმ დღიდამ აქამდე ერთი შაური არსად გასვლია არც ბატონის სარჯი არც ჩემი ერთი მღვენი აღდგომას მომართვეს ერთი შობას:

ესენი რა ესრეთ იქმნა ყოველი აწ გაუწყო თქვენ შვილნო ჩემნო თუ რა ქმნა ეშმაკმან ჩემ შორის: მამა ჩემი იყო და ბიძა ჩემები, მღვდელნი წმიდისა ეკლესიისანი მარადის მღვიძარენი მსახურებასა წმიდისა ეკლესიისა და მღვდელობისასა განკრძალულნი სასუფეველისა მიმცზავსებულისა ეკლესიასა შინა. დაშვებულნი დღითი დღედ ანგელოზთ მსგავსითა ცხოვრებითა ცხოვრებულნი: წვრთილნი მეცნიერებითა საფილასოფელსოთა და საეკლესიოთა წერილთათა. და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებელობითა: ამას თანა ადრე მსერებელ-

ნი სერისა ვითარ წირვის შემდგომად ტერფი არღარა წარადგიან, და ადრე მიმმინერელნი და ადრე აღდგომადნი და ეგრეთვე ბინდსა ოდეს ღამისასა სანთლის აღნთების ჟამს მიდიან და ლოცვასა მათსა ჟამზედან აღასრულებდენ და ესრეთ სამღ:ოდ მოქალაქობდენ მუნ განწესებადნი სადაცა აბრაამ. აწ იუწყეთ ვითარ განრემზოდ იქმნა ცხოვრება ჩემი ამათ ღუთივ დაცულთა კრებულთა.

ოხ მე უბადრუკი მმრწოლარე ჰალატსა მეფისასა ვიდრე მეფე შემოვიდის სადილობად მუნ განწესებულთა ჩემთა მსახურებათა მოქმედი, და ესე იქმნის კერძო დღე და ზოგჯერ მწუხრის ჟამს. და მრავალ ჯერ იქმნებოდა სადილიც არ მიმელო და ეგრეთვე კერძო ღამე წარივიდის ოდესცა მეფე ვახშამსა ბძანებდის: და თუ წარმოვედი მაშინ წარმოვედი. უფროსჯერ ან ღამის მკუმილავი ვიყავ მეფისა ჰალატისა, გარნა მეფისა და ანუ კერძო ღამე მაშინაც არ განმეთივნა არ იქნებოდა და რომ მოვედი სადგომს მილით აღდგიან და შეწუხდიან და ვახშმისათვის ჩემისა იზრუნიან და ამასთან ცხენთა მოურნე ჩალთა და საერითა ქცევათა და მსახურთა ცხენისა და კაცისათა მექონე და ესენი ყოველი აჴირვებდათ. ველარ ვამჯობინეთ და მამის ჩემის ნებით წარველ და სომხის სახლში დავდეგ: გარნა არცა რა სადა ვაგე არცა რა ამათი შემოსავალისა რაიმე ნაწილი არცა ქვეშაგები არცა ზედ სახურავი, არცა მონა არცა მჴევალი არცა რა ერთის შაურის დანაფასები ჩემის მამისა და დედისა არა წარმიღიარა.

წარჴელი სადაცა მსგავსნი ჩემნი მეფისა მოჴელენი მკვიდრობენ იქ დავუმკვიდრე და ღმერთმან არა სადა დამიტევა მე და არცა მომაგო მე ცოდვათა ჩემთაებრ, მიმძიმდა შვილნო ჩემნო დალტობა ცრემლითა წიაღთა ჩემთა ესე ვითარისა ცხოვრებისა ჩემისა რასმე ნელად თქვენდა წერისათვის, გარნა არცა მაკლდა, ცხოვრებამან თქვენმან მოვიღო რა გონებად საქმენი ჩემნი: პირველად ვიყავი მსახური ეკლესიისა და შემდგომად დაუტევე იგი დალაცა თუ მიზეზნი მაქვნდეს, გარნა რა სასიტყველ არს მერმე დაუტევენ მშობელნი დიდებისათჳს ჩემისა და წარვედ სადაცა მეფეთა განწესებანი იყვნენ ვიქმენ მოლარეთ უხუცესს, და მათსა განწესებასა ვეოფდი, გარნა თავსა ვეტყოდი, დედოფლის მოლარეთ ხუცობით შვილთა ჩემთა სამკვიდრებელსა ვერ დაუმკვიდრებ, სამკვიდრო საკელი არ არის, მდივნობა არის ქართლში სამკვიდროდ განწესებული სახელი, თუ ის არ მოუპოვე შვილთა ჩემთა ვერ განვისვენებ, და შიგნით ჭარამში ცხოვრებაც მეჯავრებოდა უწყის სახიერმან ღმერთმან ვხედევდი ჩემს თავს, მამული არა მქონდა რა და მოვიგონებდი შვილნი ჩემნი წყევით ამავსებენ, სიონიდამ მოვშალა და არცა რა სასიცოცხლო აქ განგვიწესო:

ესოდენი ტანჯვა უქმენ თავსა ჩემსა დღეთა ჩემთა რომელ ამა რაზომსა მოვიწიე რომლისა ბრალეულება ქედისაგან ჩემისა აღმიღიეს და შვილთა ჩემთათვის დამიტევები ეს, უკეთუ ვიდრე უკანასკნელად აღმოფშვინვამდე და სოფლის დასასრულამდე კურთხევით ჴსენებასა

ჩემსა არა ჰყოფენ და ჭირნახულისაგან ჩემისა განსჯულვისაებრ ჩემისა, სულისა ჩემისათვის რომელსამე ნაწილსა არა წარაგებენ გლახაკთა ზედა, და მსხვერპლისა შეწირვასა ზედა.

დალოცა თუ ბრალეულ მყოფენ შვილნი ჩემნი ესოდენისა თავისა ჩემისა ქენჯნისათვის, და ეკლესიისა მსახურებისაგან განყენებისათვის, მაგრამ პასუხი მომიგიეს, უკეთუ უშვერ რამე ჰყოთ ჩემდამო სიტყვა.

თუ ესოდენი სასჯელი არა მიმეღო და მასვე წელსა ზედან დავდგინებულიყავი, ცხოვრებამან თქვენმან შვილნო ჩემნო მცირედი ნაწილი დამეტყეოთ საქართველოში ოსეს წილის ნახევარი, დიაღ მცირე იქნებოდა რომელიც თჳთ დიდის იწროებით იმყოფებოდა, სამწყსო ჰქონდა, და ტფილელის სალთხუცობა ხან ჰქონდა და ხან არა.

ვაი ჩემდა რა ბრალეულობა მოვატევე თავსა ჩემსა, მისი მიჭირდა ჴსენება მარა შვილნო ჩემნო საწვრთელად თქვენდა, სულსაცა ჩემსა არა ვრიდებ, შეიმენით დიდი შრომა დამიძს ჩემს შვილებზე და ჩემს მამულზე.

ჰაი ჰაი ღმერთმან ინებოს რაც შრომა თქვენზედ დამიძს ნაცვალი მომიზღოთ.

ვინ იცის ჩემის მეტმა, რის ყოფით ვცხოვრება რამდენი დღე მშიერმა დავაღამე რამდენი ღამე მღვიძარემ განვათენე თოვლსა და სიცივეში ბატონის სამსახურში, უნაბდომა უსამოსელომა რომ თქმად მრცხვენის და გარეგან ჩემი შეჭირვება არვის უგრძნიეს ღმერთო

დიდება შენდა კურთხეულ ხარ ცხოველს მეოფელო სამებავ რომელი არა დაუტეობ შენდამი მოლტოლვილთა:

ჭეშმარიტად თელავს მდევარს დაუმახეს, მე სხვა ცხენი არა მევანდა, ჯორებში იაბო ეგდო იმაზე შემსვეს ბატონი წაბმანებულიყო, გაჭენება მოვინდომე წამოიქცა და ორი კბილი ჩამაგდებინა, მოჭყვა და სულ დამცვივდა. ეს აქ არ იყო საწერი ქორონიკონს უმჳ, იყო, მაგრამ ამბავმა მოიტანა: მეფეს ერეკლეს ხლებაში მომივიდა ეს გენსაცდელი ქორონიკონს: უმგ, ამასვე წელიწადებში მეფემ თეიმურაზმა თჳთ გამორჩევით ბმანა ღმერთმან სასუფეველში განუსვენოს, შემოსავალი არა აქვს რა, და ეგების ცხენებიც არის დაარჩინოსო, დიღმის ხასადრობა და მეღალობა მიბოძა, კარგად გავიწყევ დიღმელნი, და ჯეროვანს მსახურებას ისინიც ცდილობდენ.

გორს სადგომად წაბმანდენ ბატონები, მეც ერთობით იქ ვახლდი, ამ წელიწადს მოკლეს არაგველთ, ჯიმშედ ერისთავი, რომაქის შვილი.

ამავ წელიწადს მოკლეს მუხრანის ბატონი, კონსტანტინე ლეკთ ღართის კარში, თვესა ოკდონბერს იე იმ ზამთარ წამოვედით და მოვედით ქალაქს და მისცეს სალთხუცობის ნაიბობა იესე ამილახვრის შვილსა.

ამავ წელიწადებში ერთს წელიწადს სუფრაობაში მსახურება ინებეს ჩემი და ვიმსახურე, სუფრაჯად და ერთს წელს შემდგომად ისევ ზურაბ სუფრაჯობდა, არა თუ მოლარეთ ხუცობა ჩამამართვეს, არა, მარა კარგად მსა-

სურებისათვის, ისიც ვიყავ მცირეს ხანს, სანამდის ზურაბ მოიცლიდა, და არაფერი სხვაი იყო.

წელთა მრიცხველობად არა მცალს მე არცა ჟამთა ამბავნი მყმიებიან მე, არცა რა სხვა მინდა აქა შემოღებად თჳნიერ ამისა, რომელ ვინათგან დასაბამ ვიქმენ შვილთა ჩემთა სამკვიდრებელისა დაფუძნებად ჯერარს მყვლიცა ესე მტკიცე დაუტეო მე თუ ვითარ მიწჳეს, მამულებთა ამათ შემოკრება ვითარ დიდითარე ღუწითა დიდად შრომითა და წარსაგებელი თუ დიდნი არ ეოფილან მცირისა შოვება ესრეთ გამჭირვებიან რომე სიცოცხლის ნახევარ ჟამი მერწმუნენით დაუსნეულებია და წარულია: მე არა რა მაქვნდა მამისა და დედისა და რასაც თვითო ოროლს თუმანს ვშოვებდი არც თავს მოვაკმარებდი არც სახლსა და კერმობას, მაშინვე მამულს ვიყიდდი, ვსედავდი ვინღა იშოიდა ასე მამულსა და რაღა დრო მოვა ასეთი რომ საქართველოში ეს მამულები სასყიდლად ჩაივდოს კაცმა თუ ოკრად არ უყურებდენ ან სასოლაღაშვილოს ვინ გაჭყიდის და ან კიდევ სხვათა რომელნიც ნებითა ღუთისათა მიყიდის თჳთ მათის სათნო ყოფით და მათგან ვედრებით უწჳს ღმერთმან და დამიმკვიდრებს შვილთა ჩემთათვის და მშვიდობაში მისცესთ ღმერთმან.

ქორონიკონს უმვ. ქრისტეს აქეთ ჩღნჱ, მამა ჩემი დასნეულდა და აგვისტოს იდ, მიიცვალა წლისა სამეოცისა: მეფე თეიმურაზ და დედოფალი ანახანუმ სამაჩაბლოს ბძანდებოდენ. მე მამის ჩემის სნეულებისათვის აქ

დავრჩი, მერმე რომ შეღონდა ზაქარია ვართაპეტი ბატონებს ახლდა სხვას ექიმს ველარავის ენდო, ექიმებმა გაათავეს და ნამეტნავად ერთმა უბრალომ უცოდინარმა დედაკაცმა ღიად მნელი წამალი დაალევინა და იმან უფრო შეაწუხა, გამგზავნა ზაქარია ვართაპეტთან წამლებისათვის, თურმე ლეკის ჯარი უკან მომდევს, მე მუხრანს მუხებს ქვეშ ჩამოვკედ მარტო ცხენები ბიჭის ჴელით გავგზავნე, ლეკი ქსანზე იდგა მე რომ მიველ მეორეს დღეს სამი ათასი ლეკი მოვიდა ზემო ქართლს ეხილვანს ბატონებს ჯარი არ ახლდათ ვერ შეებნენ ვახტანგის შვილი ვიყილა მოკლეს, სამიოთხი სხვა, იტანა ბელადმა თქვა გავეცალნეთ დიდნი კაცნი უჯაროდ არიან ნამუსი არ არისო. ვიყავ წლისა ოცდა ათისა: აღის ციხე აიღეს მრავალი ტყვე წაიყვანეს ცეცხლი შეუკიდეს და ისე დაწვეს რაც მორჩა და მრავალი თავადთა და აზნაურთა სახლნი დაკოდეს და წარიტაცეს. გზები აირია ველარ წამოველ და სანამდის მე ჩამოვიდოდი მიცვლილ იყო. ღმერთმან განუსვენოს, სადაცა აბრაჰამის წიალი აქვს დიდებასა და სუფეველში.

ამას მამასა და უფალსა ჩემსა დაეტევა ანდერძი ისრე ჩემი შვილი დიდი ხანია ჩემგან გასულიარის მას ჩემთან სამკვიდრებელი არა აქვს და თუ მოვა და თავის საქონელს შემორთავს ჩემს საქონელთან და მასუკან რაც ერთს ქალს მიეცეს მასცა მის ოდენი წილი მიეცესო. ოთხი ქალი მყავს ერთი ვაჟი და ერთი იესე იყოსო ექვსთავ სწორედ გაიყონ და ბალი ჩემს მეუღლი-

სათვის და ჩემთვის დაგვიჭირიან სამარხადო და ვალი მმართებს ქვემო მოედნის დუქნები გაყიდონ და მით მისცენო.

მას აქვნდა საქონლად სასახლე, და გაწყობილი საფენით ჭურჭლით და ყოვლის ფრით გამართული სამწყსო ბაღი სალითსუცობა მღივნობა ტფილელისა.

მამულად ჰქონდა, მამის დაბა ნასყიდი, ტბისს ვე-ნ კი, და ზირბითის გამოჩინებულში ორი ვენახი:

მოედანზე ქვემ აბანო და ზედ ორი დუქანი. აგრე-ვე გარეთ-უბანს დუქანი და ჩორსოსთან დუქანი.

მე რომ მოველ, ტირილს უკან ანდერძის წიგნი მომიტანეს, მეწყინა მარა რას ვიქმოდი.

გამოვიდა ორი თუ სამი თვე, ერთი საკვირველი განსაცდელი მოიღო ჩემზედან სოფელმან, ფრანგნი პატრები რომელნიცა განიყარნეს ბძანებითა მეფეთათა და კრებითა, პატრები, წარვიდენ ახალციხეს, აქ და-შთომილნი სამწყსონი მათნი თურმე ევედრნენ დედო-ფალს ანახანუმს და მრავლის მირთმევით დააჯერეს, იგი და მისი და ანასტასია რომე საყდარი მოგვეცით პატრები მოგვგვარეთ და ამდენს მოგართმევთო.

იგინი მეფეს შეადგნენ მეფემ დიდად სამართლიანი სიტყვა ბძანა როგორც კრებით განგვიურია კრება იქ-მნეს და თუ იტყვიან მეც ნებას დავრთაო და ჩემს შვილს მეფეს ერეკლეს მივწერ და შევატყობინებ ნებას მცემს თუ არაო, მაგრამ არა მგონიაო. იმავ წამს და-უფინეს წიგნი მისწერე და კრებაც დაიბარეო, ამის და-

წყრა მიამანეს, დიდად შეწუხდი, უწყის სახიერმან ღმერთმან ამისთანაებში, გარყევა არც მომცროს არც ახლა არ გინდად მერწმუნენით.

იმ ლაპარაკებში თურმე ფარდას უკან ათანასი თარხნის ბერი იქ დგას, წავიდა ეს ამბავი ბესარიანს მიუტანა ბესარიონ გაბაშვილს მომღერარს ზაქარიას; იმან კათალიკოზს იოსებს, შეიარნეს და ბატონს მოახსენეს ამ საქმეს თუ ხელს მიჰყოფ ჩვენკი გაგვცლებითო.

მე არა რა უწყი ჭეშმარიტად, აიღეს და ეს ბრალი მე დამადვეს და მეფის ორგულად აღმიარა დედოფალმან და დიდის წყრომით მიწყრებოდა წარწყმენდისათვის ბევრეულთა ოქროთა და ვეცხლთა, ვინათგან არღარა მოსცეს ქრთამად.

ისმინეთ რასა მომატყუებს უბრალოსა და უაზროსა ჭეშმარიტად, შემასმენს მე მეფესა და ფიცით დაარწმუნებს, თუ მე ძლიერისა ტანჯვითა არა ვიტანჯე სხვანი მრავალისა ორგულებასა იქმენ: და მეფეთა არა უჯობნ ესე ვითარისა საქმისა გამო უმიებლობა: არამედ მეფე თეიმურაზ, ვინათგან მშვიდ იყო, არცა იგი ქმნა რომე რისხვა მოელო და გულ მძიმედ ბძანდებოდა, რაოდენჯერც შევფიცე შორს დაიჭირა მე შენს მეტისათვის არა ვისთვის მითქვამსო, და რომ ვითხარ გეწყინაო და ამით სარწმუნოა რომ შენ ჰქმენო ესენი, დედოფალმან ბძანის და მეფე არას იტყოდა თვინიერ ამისა, რომე რას მეშართლებიანო და ჩემი ხვაშიადი სად ვასცესო, მე მაშინ ეს არ ვიცოდი, თუ ათანასისაგან ქმნილ იყო

და ვუიცევდი და არ ჯერდენ: გამოვდა, ერთი თვე და დღითი დღე მიველოდი წერომასა, და მუქარა მარადღე მესმოდა, ერთს დღეს, ებმანა დედოფალსა სალაროში რახტი იყო რაიქნაო, მე მოვახსენე მანდ არის, ებმანა ჩემს რახტს არ ვიკითხავ ელისაბედის რახტ სადარისო? მოვახსენე, მუხრანის ბატონის ცხენი რომ მოერთმიათ ბატონისათვის, პაწაწას რახტით შეკაზმილი თქვენ რომ მოახსენეთ, თქვენ როგორ იკმარებთ პაწაწა არის სირცხვილია და ელისაბედისათვის ემაწვილობაში კარგიაო, აიღევით და იმავ იარაღით და უნაგრით იმის გამდელს მიაბარეთ, თავისს საწოლში ჰქონდათ სალაროში როდის შემოგიტანიათო. ებმანა მართალიაო, მაგრამ გამდელი ასე ამბობსო გლახას ვათხოეო და გლახა ამბობსო მოვიტანე სალაროს კარი ღია იყო და იქ შევაგდეო, მოვახსენე მე ერთი ზანდუკი მებარა თუ იმაში ან თვალი გაკლია ან მარგალიტი ან ოქრო ან ვერცხლი ან ფარჩა ის მე მკითხე და სალაროს საქმე ვისაც მისი კლიტე აბარია იმას ჰკითხეო.

ამაზე იასაულები გამოუსია სთხოვეთ თუ მოგცესთ ის არის თუ არა დაიჭირეთო, მოვიდნენ მითხრეს ბატონის ტუსაღი ხარო რას ვიქმოდი ღმერთს მადლობა მივეც დაჭერილსავით ვიყავი, ერთი საათი წამიყვანეს იასაულების სახლში დამსვეს: თუ ვინმე მეგობარი მევანდნენ შეწუხდენ და მეუბნებიან, რომ გთხოვა ორს იმდენს მივართმევდი და ამას არ მოვიწევდიო, მეკი ვიცი, რის მიზეზით არის ეს ამბავი, და თქმისაგან მე-

შინიან, მაგრამ ვიტყვი სიკუდილი გვეგონა დედოფლისა დიდად ავად იყო მეფეს მოვახსენე ხვალ დ~ ზეგ რომ მკითხოთ საქონელი არა მაბარიარა მაგდენი: გლახას სახლში შევიდა ბძანა რა დაგემართათ ასე ამბობს არას ვაძლეო: დედა ჩემმა ცხრას თავის რძალს ერთს დღეს თავს დახურა თვლით დ~ მარგალიტით საუბეურ სარალუჯიო.

ესეც შეიტყო დედოფალმა ჩემგან მოხსენებულად დ~ რაღა მეშველებოდა, მერმე კათოლიკოსი იოსებ დ~ გაბასშვილი ზაქარია, ჩასულიყვნენ ეთქვათ განა არ ვიცით რაც მიზეზი არისო, მოლარეთ ხუცობა წაერთმევინა დ~ ებძანა გაუშვითო, წამოველ მარა რაღა მოგახსენოთ, უმაწვილი კაცი თავ მომწონე, დამოთაკილე, ამ საქმეზე შესმენილი დიდად მოვკუდი რომ უფროსი აღარ იქნებოდა: დ~ იმ დღიდამ მოკიდებული ორმოცი დღე გავიდა, კარში აღარ გამოვსულვარ, მამის ჩემის სახლში ჩემოველ, დ~ ვიჯექ, აიკლეს ჩემი თოფი კმალი ბიჭი წამართვეს კარგი მსახური, ელისაბედ ბატონის შვილს აახლეს წამასდინეს გამათავეს. მეფეები, ჰატარმეულის ციხეს აკეთებდენ იქ ბძანდებოდენ მიუყიდათ ამბავი, იესე ქურდობაზე დაიჯირესო, მეფემ თეიმურაზ შორს დაიჭირა ჩემის თვალით რომ ვნახო, იმისი გულის ამბავი ვიცი არ დავიჭერებო: სხვანი ვინცავინ ბძანდებოდენ ჩემნი მეგობარნი მრავალთ ეტირათ, თვითან იმ დედოფლის შვილს გლახას ბევრი ეტირა, აგრევე სხვათ ამ ამბავში, მეფეს ერეკლეს მოეწერა, ჩემი

ოქროს ხანჯალი რომ დამეკარგა შარშანწინ ისიც მაგას ექნებაო, უნდა მომცეს უნდა მომცეს და უნდა მომცესო გამოართვითო, მოვიდნენ და თხოვნა დაიწყეს. დედოფალმა ანახანუმ რომ შეიტყო დიდის ფიცით ბძანა მე შევფიცავ მეფეს ერეკლეს რომ ამან იმისი არა იცოდესრაო ყოველს ასნაფს ჰკითხეს ოქრო ვის მოგყიდათო იესემაო დიდება შენდა ღმერთო როგორ არ გავსკდი. თხოვნისაგან დასცხრენ მაგრამ ყადაღა იყო ქალაქის გარეთ არა და სიონს გარეთ ვერ გავიდოდი: ნახეთ მკუდარს გულს რა დაემართება, ვიცი რომ არცარა პირველ მქონებია დანაშაული რომლისაც მიზეზით რახტი მომიგონეს არცარა რასტისა ვიცი, და ეს რა საკვირველია ჩემს ჟამში თვალით არ მინახავს ამ განსაცდელებში ვარ, და სიკუდილი ათასჯერ მინდა, გავკე ავად ცხელება და ციება დამეწყებინა მასა უსახარელე რა იქნებოდა, ასე გავსდი ერთს თვეს რომ სიკუდილს არა მიკლდარა ცოლი და შვილი კარდანეკს მყვანან იმათვან უფრო მრცხვენიან, მსახური წამართვეს, იარაღი წამართვეს, ტუსაღი ვარ, ავათა ვარ, და დღე ყოველ, ნასაღსა და ავად მოპყრობას მოველი, ყმა თუ რამ მყვანდა აღარ მომიდგა, ცხენები წახდენ გაფუჭდენ ვედივარ ერთს სახლში, ვიკითხავ წიგნებსა და ვმადლობ ღმერთსა.

ამაში, მალი დამატანა ცივებ-ცხელებამ და ქვეშაგებში ჩამაგდო, ვეღარ ავიტანე, სამი ოთხი დღე რომ გამოვიდა, და სასიკუდილოდ გარდამდვეს, აღსარება მა-

თქმევინეს მაზიარეს და გამოესალმე ყველასა. ბესარიონ შემოვიდა სანახავად ისე მკუდარი რომ მნახა უთხრეს პატრების წიგნზე გაუწყრნენო, ამას დააბრალესო რომ კათოლიკოზისა და შენთვის ამას ეთქვასო, ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა დაიკივლა თარხნის ბერი გამოვგზავნეთ მოსაკითხავად, და ბატონი რომ იესეს ამის დაწერას ჩუმათ უთმანებდა, ფარდას უკან იდგა და ესმოდაო, ირბინა მე მითხრაო, მე მოძღვარსა დეკანოზსაო, აშოროს ღმერთმან ეს თვალით არ გვინახავსო, ერთი ანდერძის წიგნი დაუწერე, მაგრამ რაღას კელს ვური: ჩემის თავის გამართლება იყო. და ვინ უწყის არავინ ირწმუნოს აწ კვალად დავიმტკიცებ, თუ ან ის რასტი ან ის ხანჯალი, ან მომეპაროს ან მპარავის ამხანაგი ვიყო, ან ვიცოდე რამე, ღმერთმან იუდასთან დამსაჯოს, და ჯოჯოხეთის მეტი ნურა მომცესრა, და თუ მართალი ვიყო და არა ვიცოდერა, ღმერთმან თავისის მოწყალებით კურთხევად და წყალობად შემიცვალოს, და ჩემს ამდენს მტანჯველს, ამ სოფელს და მერმესა მას კეთილი უქმნას და შეუნდოს ყოველივე:

ასე დამმარხეთ ასე: საფლავზე ასე დასწერეთ:
მე ქალაქისა მცირისა ტფილისისა,
და მე მღჳდელისა ყოვლად ჩინებულისა,
ძალითად თჳთცა გარნა ძლით სიკუდილისა.

აწ მეფეთ უნჯთ მცველთ უხუცე კელინად ვალ ოსეს იესე განწვალულ სულ და კორცად განვემზადე საკუდავად, დარღარას იმედისა ვარ მსასოებელი, რა-

ზის შვილი მოვიდა, და მახარობლად შემოვიდა, ღ̂თის მოწყალებით ვაჟი მომცემოდა: ჩემი ოსე: ქორონიკონს უმზ თებერვალს კჵ, ქრისტეს აქეთ, ჩღნთ.

მიამა მოწყალება ღ̂თისა, მაგრამ რას დაანელებს, აღტყინებულს საკმილს, ერთი მცირე წვეთი ჩანს რომ მცირემ ღ̂თის მოწყალების შემობერვამ, ძლიერი ემპლასტრა მიქმნა, მეორეს დღეს ამდენი შევიძელ იმ მახარობელს ლაპარაკი დაუწყევ, მესამე დღეს მეფე ერეკლე ქალაქს შემობძანდა, გაბაშვილი ზაქარია მისულიყო მოეხსენებინა, უბრალო სული იტანჯება დამიჯერეო, მასცა მოწყალების სიტყვები ებძანა, ვკითხეო რა იქნებოდაო, და რაც ეთქვა, დაებძანა უკეთესი ამბავი მომივიდა, აგრეც იქნება შეწუხებულს ყოელსავე უეოფენ ამდენი შემამლებინა ამ ამბებმა რომ წამოვჯეგ, მარა ცივებამ და ცხელებამ არ დამაგდო, ორიოდ კვირა უკეთობა დამეტყო მერმე აშჯობინეს საწყალობელმა დედა ჩემმა, და ჩემმა სიმამრმა, ცოლისა და პატარას შვილის ნახვა იამებაო, და წამიყვანეს კახეთს, გზამ შემაწუხა, მიველ დიდად მიამა, შვილისა და სახლის ნახვა მომიარეს. ჩემა სიდედრმა დიდად თავს შეიდვა ივნისს მიველ, და აგვისტოს, (იე) მოვრჩი ცივებ ცხელებას, მას უკან ვნადირობდი, შევექცეოდი, ოკტონბერს მეფე ერეკლე ქისიყს ჩამობძანდა, დავებარებინე, მნახა, დიდად შევებრალდი, და წყალობის სიტყვებს მიბძანებდა, ღმერთმან განუსვენოს ბოდბელი იოანე იყო მეფესთან მომჴსენებელი, წყალობა აღმითქვა, თავისთან ხლება

მიბმანა, ტყუილად წამებულს მეახლა სხვას ქვეყანაში არსად გამიშო, მე გაგამძღებინებო, ამოველ თელავს, ვიყეავ დიდს იწროებაში იქ კიდევ წიგნი მოსლოდა, იესე შეუწუნარებია და ჩემზე ჴელი აიღოსო, ისევ ჴელი აიღეს, ვიყავ, ჩემის ხარჯით ორს კვირას, მერმე დასტური ვთხოვე და წაველ ისევ კარდანეკს, ვიყავ მწარედ შეწუხებული, ვიფიქრებდი მითგანც ასე გავხდე და ჩემის სიცოცხლის ბოლო რა არის, და ამ ქვეყანას რით ვიცოცხლო. ვინადირებდი, ცხენს შევჯდი წინა მინდორში ხან კოკობს, ხან ირემს ვსდევდი, მაგრამ ამ ამბავზე ვიყავ შეწუხებული, ამ ქვეყანას დავდგე რით ვიცოცხლო ექვსი კომლი კაცი მყავს და ისინიც კახეთს არიან შეუპოვრად ჩემდა, თუ დავიკარგო და სად წავიდეო.

მეფემ ერეკლე ქალაქისაკენ გამართა: ფსოველზე გამოიარა მეც დავიწყევ სიარული წამოველ, მოველ ტფილისს, ჩემს დედასა და დებს იამათ ჩემი ნახვა მაგრამ, ორ კვირას.

იანვარს (ა) ჩემი ცოლი და შვილი მოვიდნენ ქალაქს მოშვედით, მარა არ ვიცით სად მოვედით, და რით ვიცოცხლოთ, გარნა ყოველთა მზრდელმან ღმერთმან არ დამაკლო, თუ რამ მქონდა ვყიდდი, და ვზრდებოდით სამს თვეს ასე გამოვიზარდენით, მათია მემსახურებოდა, უვედრებით გარეთ: და კრავი გაქცეული [illegible]შით მეტეხს იყო. მერმე მე წიგნი მო[illegible] და ჩამოვ[illegible]და ჩემთან, იყო ათის თორმეტის წ[illegible] კრავი, ჰაწაწა დარჩა დედა მამა რომ დაუ[illegible]და ლო[illegible],

წამოვიყვანე და მე გავზარდე ოთხის წლისა იქნებოდა, დიდი ჭირნახულიცა მაქვს იმის გაზდაზე და თუ მე არ წამომეყვანა ლეკი წაიყვანდა.

რასა განვაგრძობ უფალნო ჩემნო შვილნო ვით იიქმის ჩემი მწუხარება, ცოლისა და შვილის ქალაქში თავს დაწოლა, სარჩოს უქონელობა და ეს კიდევ უფრო ძნელი მოსალოდნელობაცა, ანასანუმ დედოფლისაგან მარადის წყრომა: მეფისაგან ყურის მოუპყრობლობა, ტფილელისაგან დიდის კრჩხიალით შეუწყნარებლობა, ჩვენგან წასული სარო შენ ჩვენთან ნაწილი არა გიძსო. კიდევ შევეხვეწე, მეჯინიბედ მიმსახურე და ერთი ლუკმა პური გამიჩინე, მამის ჩემის სახელოს არა ვღირს ვარ ოღონდ აქ ვეგდო და სხვაგან არსად დავიკარგო მეთქი, დიაღ დიდად იწყინა, ჩვენთან შენ საქმე არა გაქვს, ისევ ბატონებს შეეხვეწე ისინი შევიწყნარებენ, სამჯერ და ოთხჯერ ამ ყოფით გამომაგდო, და წამოველ გულ-მოკლედ, შინ შემოვიდი მხიარულად ვეჩვენი, გარედ გამოვიდი, კარგად ჩაცმულ და სურვილი ვიყავ, ქურქით ჩაღილულის ქათიბით შალით, მაუდებით, და აგრევე ზაფხულ საკადრისის ტანისამოსით, მარა ბოლოსათვის ვზრუნევდი თორემ უპატიურად არას დროს არავის უნახივარ, ჭკუაც ის არის კაცმა თავისი თავი ხალხს უპატიურად არ დაანახოს, თორემ მასუკან აღარ ეშვე-ლებარა თუ ავად ნახეს ყვედრებას აღარ გამოულევენ, ზოგს სამძიმრის წიგნი დაუწერე იმით ვაამე, ზოგს მივართვი რამე იმით შემიწყნარეს, ზოგნი დღე ყოველ

ვნახე და ვიმსახურე იმით მოვიმადლე ავტყსე ხალხი, ჩემად შესაწყნარებლად, დიად მრავალმა სულმა ურჩივა მეფეს ერეკლეს, თესე იასელო, მერმე ეპმანა რუსეთს მიბმანდება ბატონი მამა ჩემი, დუშეთამდის ამოვიდეს ერთს გზას მივცემ რასმეო: ერთი კაი ცხენი მყვანდა, ტფილელის საჯინიბოში თოფით მომიკლეს, მეორე სოლოლას შვილმა მანუჩარმა მომიკლა, ცხენი აღარა მყვანდა, ვიქირავე ერთი ცხენი, ავიღე ერთი საწერელი, ვახსენე ჩემი ღმერთი, პაწაწა კრავი წავიყვანე და წაველ. მივედით დუშეთს რუსეთის კელმწიფეს არზას სწერენ, და სრულად რუსეთის დიდროანს კაცებს წივნსა, რუსთველის იოანეს იმედი აქვსთ, იმისი კელი ნასეს, ვერ იყო საკადრისი, დაღონებას მიეცნენ, ინება ყოვლად მლიერმან ღმერთმან რომელი არა დაუტოებს, დაბადებულთა თვისთა, მიმიწოდეს, ჯერ მამაო ჩვენო დამაწერინეს, რომლისა მადლმან მომცა შეწევნა, მოიწონეს. მერმე კელმწიფის წიგნი, მერმე დიდებულთა, და დიდად მოიწონეს ბატონებმა და სრულიად ქართველთა და კახთა: ბმანა მეფემ ერეკლემ, კაცს არაფერი არა არგებსრა თავის გაჭირებაში ცოდნის მეტიო. ეს კაცი ამ თავისმა კელიდამ გამომავლობამ არ დააყენაო, ორ თვეს უკან ქალაქს ჩამოვედით, მდივნობის ბოძებისათვის შეუყენე მრავალი სული, აფხაზეთის ქათალიკოსი იმის დამკრო ან დიდი ან მცირე, დიდი კაცი ბატონის ნათესავი, და სამღუ̂დელლო კაცი: ვინ აღთვალეს ჩემნი ჭირნი და სასჯელნი, შეიდი თვე ვეხვეწე, უსასრდელობა უსასლობა

უმამულომან და უსახლომ, თუ რამ მქონდა, გავყიდ-
დით ბაზარზე ვიყიდდით, და ესრეთ გამოვიზარდენით
შვიდს თვეს და დღითი დღე, ბატონთან მოციქულობა
და ვედრება მქონდა ერთის ლუკმის პურის ჭამისა: ამ
ხანებში მამის ჩემის სახლში ვიდეგ, მარა გაგვყარეს,
და აღარ დაგვაყენეს, დაბლა საწოლი მოგვცეს თქვენი
წილი ეგ არის თუნდ იცოცხლეთ თუნდ დაიკოცენითო.
მკათათვის დღეებში მოადგის მზე და სიცხით ვიკოცე-
ბოდით, ბარგიც თავს გვეყარა, ზანდუკი, კიდობანი, და
დიაღ მცირე ადგილი იყო ერთი კუთხე იმაზე მივიცა-
ქნაფებოდით, პურს ვჭამდით რასაც გავყიდდით, დღი-
სით წაველი მე, შუამავლებს ვეხვეწებოდი, და ღამით
ბინდზე შემოვიპარებოდი, შევიდი პური ვჭამო და დავი-
ძინი, ოსეს ვზდიდით და ის იყო ჩვენი იმედი, სიცხემ
რომ მალა გვიყო და არ გაგვიკითხეს, მაღლა დასა-
ყენებად დავიწყევით სიარული, და ქაშვეთს გავედით და
იქაც რომ დაბლა ვერ ვიშოვეთ სადგომი, მაღლა, საყ-
დარზე, ვიდეგით წმიდათ და შეუმწიკულებლად გავყიდ-
დით რასმე და ისე გამოვზარდენით, ვეცხლის მათრახი,
უნაგირის თასი, იქ დავაშლევინეთ ერთს დღეს ასეთი
ქარი და მტვერი ადგა რომ კინაღამ ოსე დამერჩო, მერმე
შემოვედით ქალაქს რომ აცივდა და სხვაგან სადგომი
რომ ვერ ვიშოვეთ ნათლის მცემლის საყდარს წინ რომ
სენაკია იქ დავდეგით, ვიყავით იწროებაში. იქ ოსე ავად
გამიკდა წლისა და ნახევრისა იყო და მოუნათლავი მყავნდა.
იმ ღამეს კრავს მოვანათლევინეთ, ღმერთმან ინება და

ნათლის-ღების მადლმა მოარჩინა: იმ ღამეს ერთი ჩემის ყმის ცოლი იყო ჩემის შვილის მომლელი და მეორეს დღეს სამუქფოდ კახეთს წასვლის დასტური მთხოვა და წავიდა, ამ იწროებაში რომ ვიყავით ბატონს ებმანა გაბაშვილის ზაქარია მოძღურის პირით დიდათ ირჯებოდა ჩემთვის, აგრევე, დიმიტრი მღუდელ მონაზონი, რომ მდივნობას მივცემო, ოკტომბერს (თ), მიმიწოდეს და მუკლს მაკოცნინა მდივნობაზე. ქორონიკ. უმწ, დღესა, იაკობ ალფესისასა. გავიხარე, მიამა ღუთისა და ბატონის წყალობა ჩემზე ტკბილმან და მოწყალემან მეფემან, ესე ქმნა ჩემზედან, ღმერთმან სასუფეველში მიაგოს და კორცთა შინა ყოველვე კეთილი მიანიჭოს.

ერთი კვირა რომ გამოვიდა და ვარ მდივნობის პატივსა, და მოვლენ მეგობარნი ჩემნი და მოყვასნი და მომილოცვენ ვითარ წეს არს მეფეთა მოწყალებასა ზედან, ნათლის მცემლის სახლებში ვდგევარ, აივანში ვჯდომილვარ მე ბატონისაკენ წავსულვარ, და ის სახლი მოფენილი იყო, და სტუმრებისათვის ყალიონი და ყავის ფიალები იდვა: ჩემის უბედურობით, ანახანუმ დედოფალს საყდრებში ლოცვა და მოვლა დაუწყია ნათლის მცემელშიაც შემოსულა, ეს სახლი უნახავს, უკითხავს, შეუტყვია, ღმერთმან შენს მტერს მისცეს გაჯავრებულა, მიბმანებულა სადგომს, გაუხელებია ქვეშაგებად მივარდნილა, უკითხავსთ რა არის, ანასტასია მისულა ბატონთან, რაზედ მოჰკლავთ მეფეს თეიმურაზს

რაღას პასუხს გასცემთო თუ ოსეს შვილს მდივნობას მისცემთ ესკი მოკუდებაო. ამ სიტყვას ანასტასია დედოფლის მიგზავნით იტყოდა მასუკან, და დედოფალი მიტყვდა მე, არა მითქვამსრა თვითან მოიგონაო ჩემთვის მაშინვე მეექვსე დღე არის, ნიკოლაოზ მღჳდელი ებოძებინა ბატონს, რავქნა შენი დარჩენა მინდოდა მარა ეს ამბავი ასე არისო ან ამასვე შეეხვეწეო და ან შენს სიმამრს შეეხიზნე ცოტას ხანსაო, ჩემი მდივნობა გაუშვიო. რაღას ვიტყოდი. ვცან მისნი ქანდაკებულნი იყვნენ ვეტყვი მყვლისა მეექვსეობასა დაორღანაობასა, გამოვედ დუმილით, და ვსცან ყოელი მისგან ქმნილი, რომელიცა მომაგო მე დამან დედოფლისამან. ვიყავ ურდუნებული, ზამთრის პირი შემოვიდა, და ყველა საწუხარია ჩემთვის, ამოველ იქიდამ ჩემს პატარას ოთახში, აღარა ცხელოდა, მარა სიმჭიდროით სულთ მკდებოდა, ის ზამთარი იქ ვიდეგ, იწროებაში და სიღარიბეში, ბატონს დედოფალს შევეხვეწე, ამდენი წყალობა მოიღევ მდივნობას აღარ ვითხოვ, ოღონდ ბატონს ვახლდე, ერთი მოლაშქრე კაცი მეც ვიყო, სხვა არა მინდარაო. ებძანა მდივნობას კი დაეხსნას და დიდრონს სახელოსა და ერთი მოლაშქრე კაცი რომ ახლდეს არას ვინაღვლიო, ეს სიტყვა ჩემთვის დიაღ ძვირად საშოვნელი იყო.

იუწყეთ მსმენელნო, სცანით ჩემნი ჭირნი ჟამსა ამას შეუწონეთ, თუ რა მმართებს ჭკუისა და ღჳთის ვედრების მეტი.

მივედი ბატონთან, მაწერინებდის მაკითხებდის ჭეშმარიტი ითქმოდეს ჩემის თანა მწერალი, მწიგნობარი არავინ ახლდა: მარა მეფე ერეკლე ერთს თვეს ერთს ადგილს არ დადგის, ის მტერი ჰყვანდა, ის ჟამი ჰქონდა, დავიდოდა ჲ თავის საბძანებელს ისე არიგებდა: მამართვიან ჲ მიბოძიან, ერთი ან ცუდი იაბო ან ჯორი, შევჯდი, საღამომდის მოჯავჯავის, საღამოს, მეჯორეებმა წარიყვანიან, არა მყვის მსახური, არა მყვის მომვლელი, ხან სიცივესა ჲ ხან სიცხეში, უმსახუროდ სიარულმა, ჲ ქვეშსაგებელ ჲ გვირებულმა, ვიარე ორი წელიწადი, მაგრამ ორი წელიწადი შვილნო ჩემნო ბევრი დღე არის ჲ ბევრი ჭირი მოიწევის კაცზედა, რა ვთქვა, ან გზის სიცხე ჲ სიცივე ან ქალაქში მეოფის სიღარიბე: ან შინ დედისა ჲ დებისაგან უსამართლოდ ჩემზე მოქცევა, უზომოა შვილნო ჩემნო, გამოუთქმელია სასურველნო ჩემნო, ჲ დაუჯერებელნია საყვარელნო ჩემნო რანიცა მე უბადრუკსა ცოდვათა ჩემთა წილ მეხილვნეს. ერთს დღეს ლომის ციხეს სადილი, იამა, შევჯდა მკათათვეში ვეფხის ციხეს ჩაბძანდა უზომო ჲ გამოუთქმელი სიცხე იყო, რომ ჩამოვკვედით სიცხით იქაურნი კაცნი გასცლოდენ ჲ ერთს კვეში ჩავცვივდით, ასე გულს შემომეყარა რომ თუ ერთი მღუ̂დელი არ მომსწრებოდა ჲ წყალი არ მოეტანა უცილოდ მოვკუდებოდი.

აგრევე სიცივეში უმოსამსახუროდ სიარულით, გავთავდი, ორი წელიწადი ამ ყოფით ვიარე, ვახლდი

ღმერთმან განადიდოს მისი სახელი, თვალ ყური ეჭირა იმედს მიბმანებდა ვწერდი ვიკითხევდი მარა შემოსავალი არა მქონდა, ვიყავ იწროებაში და გავყიდდი თუ რამ მქონდა და ეგრეთ ვრჩებოდი, ვეღარ დავდეგ მამის ჩემის სახლში, მუდამ შფოთისაგან და სასაცილოდ აგდებისაგან, ავდეგ და გაველ გალავანის სენაკებში დავდეგ ხარაბასა და დაქცეულში: ხუთი თუ ექვსი თვე ასე ვიდეგ რომ წვიმა რომ მოვიდის აივსის ხოლმე, მცირე კიბე ვიშოვე მივდგი, და დავიარებოდით, შფოთსა და სასაცილოს აგდებას რომ მოვრჩი და ყური მოვარიდე ღმერთს მადლობა მივეც, ამ სიღარიბეში შემომიკვეთეს მამის დაბის თეთრი უნდა მოგვცეო, რას ვიტყოდი, ჩემის სახლის ტოლომა გამოვიტანე, გავყიდე და მივეც სიგელზე მომიწერეს, და მომყიდეს მეორედ მამის დაბა სოფელი თავისის გლეხებით, და საკუთრად ჩემი არის ამ გაჭირებაში ასე მიყიდია ავგისტოსს, იბ, ქორონიკონს უმჶ, ძველი და ახალი სიგელები მომცეს კელთა მოწმებით წიგნი დამიწერეს, და გარდასწყვიტეს.

კახეთს წაბმანდა ბატონი, იქ ერთი ჩემი გლეხი მოეკლა კაცსა ალესია შვილი, იმ მკვლელმა ერთი კბოიანი ძროხა მომართვა, თუ მიჩივლებ, და ეს ძროხა დიდად შემეწივა, დიდის სასჯლით მოვიყვანე, ტურის ციხიდამ, კონდოლს, მერმე კარდანეჯკამდის ჩემის კელით მეჭირა, ბატონი ველის-ციხეს წაბმანდა მე ძროხის მჭირავი, შიგ ტყეში დავრჩი, ძლივ იმ ღამეს კალაურში გაველ, სიკუდილს ცოტა მიწუდა, მერმე კარდანეჯს ჩა-

ვიყვანე, ჲ იქიდამ ქალაქს, მაგრამ ჩვენი ნუკუშინის ცემა ორი წელიწადი, ამ ძროხისაგან იყო, ყმაწვილებს არ-ჩენდა ჲ მოსამსახურეს, ჲ ვმადლობდით ღმერთსა.

ჭეშმარიტად თუ მირწმენთ, რაც ამ ძროხის წამო-ყვანაზედ მე ჭირი ვნახე დიდად შემიბრალებთ, ნებიე-რად გაზდილი, მკლავი, საბლის წევით ასე გამიკდა რომ მოძრაობა აღარა მქონდა, ჯარს სადღა მივეწეოდი, შუაღამისას შავს ტყეში, მარტო მოვიდოდი მეურჩოდა არ მომდევდა ჲ ძალით მოვიზიდევდი, კბო ხან დედას მოსდევდა, ჲ ხან ტყეში შემივარდებოდა, ქათმის კმობა იყო. კალაურს გამოველ მაგრამ შავ ტყეში დიდი ლე-კიანობა იყო, რაც ხე გაიძროდა ლეკი მეგონის ჲ თოფი მზად მქონდა, თუ გაჩენილიყო რამე ერთი თო-ფი რას შემეწეოდა მომკლევდენ, ეს გაჭირება მქონდა ასე ღარიბი ვიყავი, მაგრამ არც დავკარგულვარ, არც მიქურდია, არცავისთვისრა მომიტაცია, გავირჯებოდი ასე დავრჩებოდი. ქორონიკონს უმთ, ღვინობისთვის იჟ, ჰაწაწა ზაზა დაიბადა, კახეთს ბძანდებოდა ბატონი, სა-გარეჯოს თავზედ რომ მობძანდა, იქ მახარობელი მომივიდა, ზაქარია მომღვარს მოეწერა: ღმერთმან ვა-ჟი შვილი მოგცაო, ჲ სარჩოსათვის თუ შესწუხდები ორი ვაჟი გყავს ვინც კბილნი მოგცა სარჩოსაც ისივ გიბოძებსო.

ჩამოვედით ქალაქს დღე ჲ დღე წავდეგ წინ ჲ მე-მატებოდა ღუთისა ჲ ბატონის წყალობა, გალავნის სენაკებში კარგად გავეწყე, ავაშენე, გავაკეთე კარგად კე-

ლი მოვიწყე ვიყავით, უმეზობლო უჭირველნი ძ[illegible] ვარნი დაცულნი წმიდის ეკლესიისაგან და თვითო ოროლს შაურს ვიშოვიდი ან სიველს დაუწერდი ვისმე ან ოქმს, თვარა უფრო ჩემსას გავყიდდი რასმე და ამით ვრჩებოდი, შეუყენე კვალად შუამავლები მრავლები, და ყოვლით კერძო ავტესე ჩემად შესაბრალად და ასე ვმსახურებდით რომ მრავალჯერ ბძანა მე უფროსად მინდა მაგისი, გამლებინება თქვენგან თუ გზა მომცემდეს დაიცოდეს, არ გაუშვებო რომ არ მივცეო, ამ გზით ერთი წელიწადი კიდევ ვიმსახურე და დავაცალე, მერმე დედოფალს შევეხვეწე დარეჯანს, ღმერთმან განამრავლენინ დღენი მისნი, და შვილები უცოცხლენ, დიაღ მართლის გულისა და წმიდის სვინდისისა ბძანდებოდა, გაისარჯა, შეეხვეწა ბატონს, წყალობა მოიღეს ჩემზედა, მარა ჯერარს ჭეშმარიტისა წამება, რაც ზაქარია მომღვარმა ჩემზედ კეთილი ქმნა სხვას არვის უყოფია, დიდად გაისარჯა არა ათჯერ ასჯერ უფრო შეეხვეწა, აგრევე ზოგი რამ მიმირთვა, ეფრემის წიგნი ჩემი დაწერილი, დიაღ კარგი საწერელი ჩინის ლანგალი, ბატონს, დედოფალს და ერთი შალი მივართვი: ესენი სამ თუმნად ვიყიდე, აგრევე სხვათა გარეშეთა, მოაკსენეს, შეეხვეწნენ, ანახანუმ დედოფალსაც წყენის თავი აღარა ჰქონდა, სანატრელი ჩემი ჴელმწიფე მეფე თეიმურაზ მიცვალებული იყო და მომცეს მღივნობა.

ქრისტეს აქეთ ჩღჲბ ქორონიკონს უნ, ქრისტესი შობის (თ), მიბომა მღივნობა მეფისა, ვმადლობდ

ღმერთსა და ნავროზამდის სამდივანწიგოს წილი მომცეს, მესამედი მდივნობისა, აგრევე ბრინჯი მომცეს, რაც მდივნებს ევერგებოდა, იმ თვეებში მოვიდა, და ოცდა ხუთი ლიტრა ბრინჯი მოვცეს, და ამ სამის თვის იჯარების რუსუმი ჩემს ამხანაგებზედ დარჩა, და აღარ მომცეს, ღმერთმან განამრავლოს მეფეს ერეკლეს დღე და მიაგოს მრავალი კეთილი აქაცა და საუკუნოსაცა, რაც მან ჩემზე მოწყალება ქმნა სხვას ვის უქმნია, ხათრი ჰქონდა დედისა და იცოდა წყინობდა ჩემს ბატონთან ყოფასა, მარა ყოვლის გზით ასე მეჯერობოდა ამ სამს წელიწადს, რომ არც ის გააჯავრა და არც მე ამ ქვეყნიდამ დასაკარგავად ვემეტებოდი. დიდი მოწყალება იყო ჩემზედ თორე თვითანც იცოდა და მეც ვიცოდი და ყოველმა სულმა რომ ანასანუმ დედოფალი წყინამდა, მაგრამ არა თუ მის წყენას არ გაუფთხილდა. იმას ასე უამბობდა საცოდავიაო და ვიცი რომ რუსეთს დაიკარგება, მუდამ მეთხოებაო და ჩვენს ქვეყანას რაღა კაცის დაკლება უნდაო, ასეთეს უამბობდა რომ იმასვე ათქმევინებდა, გახლდესო.

და მე დიდად ვეცადე და არ შემირიგა, და რათა არ ვიცი: რას მემართლებოდა, ღმერთმან შეუნდოს და იესო ქრისტემ ყოველი კეთილი მიაგოს, ნაცვლად ბოროტისა მისისა კეთილი უქმნას სახიერმან ღმერთმან.

რომ მახსენებდენ ქრისტეანენი ვართ ნუ გვავს იესე შეირიგეო, დიაღ არა ვარ შენმა მზემ უმრახიო რათ მამაგონდება სადღაც გდიაო ჩემთან რა საქმე აქვსო,

ჩემს სადგომს არ შემოხედოსო, აქეთ არ გაიაროსო თორემ ავად მოვეპყრობიო. ღმერთმან მოხედოს, ღმერთმან შეუნდოს.

დავიწყევ მდივნობა, მერმე ებძანა ბატონს მესამედი არ მიმიცია რაც მემეტება იმას მივცემო, მეოთხედი მდივნობა მიმიციაო რას ვიქმოდი, მას აქეთ მეოთხედი მდივნობა მაქეს და ვმადლობ ყოვლად მლიერს ღმერთს რომელმან არა მტანჯა მე ცოდვათაებრ ჩემთა, და ეგრეთვე მეფისაცა ვარ მმადლობელი, ვინათგან არა შემინდო მე რუსიეთს წარსვლად, ვინ უწყინ რა მოიწყოდა ჩემდა უცხოსა შინა ქვეყანასა, აწ ისმინეთ ამიერითგან, ვითარ მიწჳეს, მამულებთა შემოკრება სახლისა დადგომის კეთება, სყიდვა და რჩომა თავისა და შვილთა ჩემთა ზრდა, და მეფისა და ქვეყნის მსახურება და ჯარში სიარული და მოყვარესთან მოყვრობა, დებისა გათხოება, ძმისა დაქორწინება და მოვლა, ყოელსავე წარვწერ სიმართლით და აღმოცნობისა და კეთილად კსენებისა თქვენ უწყით უფალნო ჩემნო. მაშინ ვიყავ მე წლისა, ოცდა ათხუთმეტისა ქორონიკონს უნ, აპრილის თვეს იე: ჩღჲბ, მოვიდა მანუჩარ სოლაღაშვილი და მითხრა ერთი კომლი კაცი მეავს თიანეთს სახლობენ, ერთხელ სხვას მივუიდე თავი არ დაუდვეს, ახლა გრიგოლ სალთხუცესი სყიდლობს მაგრამ აქ არ არის, მე თეთრი მეჭირება, შენ იყიდე, თავეთის მამულით და ნასყიდობით მოგყიდიო, მე ასე უთხარ, უმამულო კაცი ვარ, თუ შევრივდებით, მამულის გულისათვის ვიყიდი, თორე კა-

ხეთს კაცნი ჩემნიც არიან რომ არაფერს მეჯოებიან, შევრიგდით, ერთი ცხენი მყვანდა ჩემი ნათხოვრად, ის მოკლა და ის ემართა, ერთი კარგი თოხარიკი იაბო მყვანდა დიდი, ის თვრამეტ მინალთუნად გამამართვა, სხვა სუოდლობდა მარა შემომეხვეწა მაგისთანას ველერ ვიშოვიო და გამომართვა ოცდა ორი მინალთუნი ნაღდი თეთრი გამომართვა შეიქნა ექვსი თუმანი, სიგელი ჯვარის მამის დეკანოზს იოანე მოძღვარს დამიწერინა, თავის ჴელით დაამეჭდვინა, და მომცა: თავისის მამულით ვარსიმაშვილები, და თავეთის ნასყიდობით თევდორე ჰატარკაცი და მამუკა.

ვინათგან ცხოვრებისა ამის ჩემისა რიცხვსა სწორებით ვწერ, ჯერეთ გიორგის დაბადება არ უნდა დამეწერა და ამისთვის წარვშალე. მართალია ზოგი რამ აირევა სასოლაღას შვილოში, საგაბაშვილოს მამულის სყიდვა აირივა, მარა მე იმას დავსწერ რომელი რომელს დროს, როგორს ჟამს მიყიდია და მიშოვნია, და გამრჩეველმა იგულის ჴმოს, მალე გაარჩევს.

ქორონიკონს უნა: ქრისტეს აქეთა ჩღჲგ, ივლისს (ი), მოვიდა მანუჩარ სოლაღასშვილი და მიქელაშვილები თავეთის მამულებით და ნასყიდობით მომყიდა, წყლითა, ჭალითა თაყას ჭალითა და წისქვილითა, მიწითა, ვენაკითა, იობ მღუდლის მამული, ელისეს შვილი თვითან ივანე, ელისეს მამული, ბერუას მამული, და ამათის განაყოფებს, ქიტუას მამული მომყიდა, თეთრი

გამომართვა, სიგელი მოსჱ მღჳდელს დამიწყრინა, მომ-
ცა და წავიდა.

ვიყავ რა წლისა, ოცდა ათექვსმეტისა, ქორონი-
კონს ყნა, ქრისტეს აქეთ ჩღჟგ, ივლისს კბ.

(შემდეგი მერე იქნება).

* * *

სად არ მოელის კაცი მართალი,
იქ მიეცემა ზოგჯერ საფრთხესა;
და სად ტრიალებს ენა ჭარტალი,
იქ ჰპოებს სენზედ, ჭირს უარესსა.

უწყალოდ მიმეც ამ ბედის წერას
შენ, ჩემთან ერთად გამწევ უღლისა;
შენი ერთგული მიკვირს და მიკვირს,
თუ რად გამხადე მტრების გულისა?

იმ მტრების, რომელთ რჩევითა ავის
მოქმედებ,—ჩემზედ აგისევია,
და ის უღელი, საღმრთო კავშირის,
შეუპოვრად რომ დაგიმსხვრევია!

მაგრამ, დაესსენ ჩემ მტრობით გაძღნენ
მტერნი, რომელნიც დღეს არის, ხვალა,
ჩემებრ ამ შავს დღეს უეჭოდ ნახვენ,
ეს სჭირს ამ სოფელს ჩვეულებათა.

ნუ თუ არა გრძნობ, რომ ოთხსა შვილსა,
დედა, ანებებ გულაურით თავსა,
არ მივცემივარ ჯერეთ სიკვდილსა,
პირს სული მიდგა, შენ იცომ შავსა.

შენის მიზეზით დაესხსენ მოვკვდე,
ვიცი არ იგლეჯ მწუხარედ კავსა,
მტერნი სიამით იმ სურათს ნახვენ,
რაც გადახდებათ თვით იმათ თავსა.

აატიალე სახლი დ კარი,
სად ვიწურავდი წურწურით ოფლსა,
კარგად ნაშენი, მკვიდარი, მაგარი,
რა არის დარჩეს შვილებს დ ცოლსა.

იქ რაღა მეთქმის, სადაც გონება
სუსტს არსს ენისგან როს არევია,
ჩემს საკვდავად თუ სადმე გაება,
რომ აღარ ვიყო ის მირჩევნია!

შავწყაროელი.

# ოჯახობის ბედნიერება

(ქალისაგან ნაამბობი).

## I.

ჩუჱნ ჯერ კიდევ თალხები გვეცვა, როდესაც შემოდგომაზედ მოგვიკვდა დედა და მთელი ზამთარი ვცხოვრებდით სოფელში, მარტო მე, გუვერნანტკა კატინკა და სონა.

კატინკა ძველი მეგობარი იყო ჩუჱნის სახლისა, ის იყო ჩუჱნი გუვერნანტკა, რომელიც გვივლიდა ძიძისა მზგავსად, როგორც მახსოვს. სონა იყო ჩემი უმცროსი და. ზამთარი გავატარეთ მწუხარეობის მდგომარეობაში, დღეები იყო ცივი, ქარიანი და აბა სად შეგვეძლო წასვლა, თუნდა მალიანაცა გვდომებოდა. მალიან იშვიათად თუ მოვიდოდა ჩუჱნთან სტუმრათ ვინმე, და თუნდა მოსულიყო, მაგდენს მხიარულებას და სიხარულს ვერ მოგვიმატებდა, ყველას ვინც კი სახლში ვიყავით, მწუხარების სახე გვქონდა, ყველანი ვლაპარაკობდით ჩუმათ, თითქმის გვეშინოდათ, არა ვინ გავაღვიძოთო, სიცილს მოკლებულნი ვიყავით, ვოხრავ-

დით და ხშირადა ვსტიროდით, როდესაც დავინახავდი ჩვენს თავს თალხებში, უმეტესად ჩუმს პატარა სონას, შავს ტანისამოსში. სახლში, თითქოს ვგრძნობდით სიკჳდილისა; გლოვა და სიკჳდილი თითქოს კარებს უკანა დგანანო, დედი ჩვენის ოთახი დაკეტილი იყო იმ დღითგან, რა დღესაც გარდიცვალა და რამდენსაც იმ ოთახისაკენ გავივლიდი, იმდენი გული მომიკვდებოდა.

მაშინ ვიყავი მე ჩვიდმეტის წლისა და იმ წელიწადს, რა წელიწადსაც დედა მოგვიკვდა, გვპირდებოდა ქალაქში წავეყვანეთ. დედის სიკჳდილი ჩემთვის დიდი მწუხარება იყო, მაგრამ უნდა გაგიტყდეთ მკითხველო და მოგახსენოთ გულწრფელობით, რომ ამ მწუხარებაშიაც კი ვგრძნობდი, რომ ვიყავი ახალგაზდა, ლამაზი, როგორც სხჳათაგანაც მესმოდა და მრთელს ზამთარსა ტყვილადა ვკარგავდი სოფელში ცხოვრებით. ზამთრის ბოლოს, ეს გრძნობა უფრო მომემატა და მარტოდ ყოფნა ისე მომბეზრდა, რომ ჩემის ოთახითგან, აღარ გამოვდიოდი, ფორტოპიანოს ხომ ყურადღებას ვიღა მისცემდა, რომელიცა გამტვრიანებული იდვა. როდესაც კატინკა მომიყვებოდა დარიგებას, რომ საქმე რამ გამეკეთებინა და იმაში დრო გამერთო, მაშინ ვუპასუხებდი, თუ რისთჳსა, როდესაც საუკეთესო წლოვნების დროს ისე ტყვილად მეკარგებოდა, დაუბრუნავად. იმ დროს ტირილიც მომივიდოდა.

მეუბნებოდნენ, რომ ვითომც მე გავხდი და სილამაზემაც დაჰკარგა თავისი ძალა, მაგრამ მე ამისთვის

ყური არ მითხოვებია. რისთვისა? ვისთვისა მეთქი? ვფიქრობდი ამას. ასე მგონა, მრთელს ჩემს სიცოცხლეს ისე მარტოობაში უნდა გაევლო; გაევლო იმ მწუხარებაში, რომლითაგანაც არცკი მქონდა სურვილი გამოვსულიყავი. ბოლოს რომ არ იქნა, კატინკამ მოინდომა ჩემი სამზღვარს გარეთ გაეყვანა, მაგრამ ამ მოგზავრობისათვის, ფულები იყო საჭირო, დ̃, ჩუ̂ენკი ჯერ არ ვიცოდით, თუ რა დაგვრჩა დედი ჩუ̂ენის სიკუ̂დილის შემდგომს. ყოველ დღე მოველოდი აპეკუნსა, რომელიცა უნდა მოსულიყო დ̃ ჩუ̂ენი საქმეები გაერჩივა.

მარტის თვეში აპეკუნიც მოგვივიდა.

ეჰ მადლობა ღმერთსა! მითხრა მე კატინკამ, როდესაც, როგორც აჩრდილი, უსაქმოთ, უაზროთ, უიმედოთ, დავდიოდი ოთახში;—სერგეი მიხაილიჩ მოსულა სოფელში, გამოუგზავნია მოკითხვის კაცი დ̃ სადილათაც აქ აპირებს მოსვლასაო. ღმერთმა უშველოს მთავრობას, რომ ის დაუნიშნავთ, რომელსაცა პატარაობისას მრიელ უყვარდით.

სერგეი მიხაილიჩი ჩუ̂ენი მეზობელი იყო, რადგანაც ჩუ̂ენ სოფელზედ რამდენიმე ვერსზედ იმისი სოფელი იყო დ̃ კარგი მებატონეც. ის იყო დიდი მეგობარი მამი ჩუ̂ენისა. გარდა ამისა, რომ იმის მოსვლამ შესცვალა ჩუ̂ენი ცხოვრების წესი დ̃ მოგვცა ღონისძიება ჩუ̂ენი სოფლითგან გასვლისა, მე სიყმაწვილეშივე მიყვარდა ისა დ̃ პატივსა ვცემდი. ჩემ გარდა, სახლში,

კატინკა დ სონათან მოკიდებული, ვიდრე უკანასკნელ მოსამსახურემდის, უყვარდათ იმისი სასიეთები. დედა ჩემი როდესაც ცოცხალი იყო დ ერთხელ როდესაც სერგეი მიხაილიჩი ჩუენსა იმყოფებოდა, ერთი სიტყვას მოვკარი ყური დ ის სიტყვა გონებაში ძრიელ შემრჩა. დედა ჩემა თქუა, როდესაც სერგეი მიხაილიჩი წავიდა, ნეტავი ამისთანა სიძე შემხვდესო. მაშინ მე ეს გავიკვირვე დ თითქმის არც მესიამოვნა, ამისათვის რომ ის იყო მაშინ წვრილის ტანისა, ძრიელ გამხდარი დ ნაღვლიანის სახისა. ახლა რომ ვნახე სერგეი მიხაილიჩი სრულებით სხუა გვარად მეჩვენა. ის ყმაწვილი აღარ იყო; ის იყო მაღალის ტანისა, ცოტათი მოსრქო დ მხიარულის სახისა, როდესაც ათი თერთმეტის წლისა ვიყავი, სულ შენობით მელაპარაკებოდა დ კოკორს მეძახოდა. ბევრჯელ, როდესაც მოვიზარდე, ფიქრათ მომივიდოდა, რომ ცოლათ შერთვა მთხოვოს, რა უპასუხო მეთქი.

სადილობა ჯერ არ იყო, რომ სერგეი მიხალიჩი მოვიდა. ფანჯრითგან უყურებდი, როდესაც ალაყაფის კარებში შემოვიდა მარხილით. რამწამს ეს დავინახე, მაშინათვე გავექანე. ოთახის კუთხეში დავჯექი ისე დამშვიდებით, ვითომც დ არ მოველოდი იმის მოსვლასა, მაგრამ როდესაც წინა ოთახითგან შემომესმა იმისი ბოხი ხმა, ვეღარ მოვითმინე დ გავეგებე, იმას ეჭირა კატინკას ხელი დ მაღალის ხმით ელაპარაკებოდა, როდესაც მე დამინახა, შედგა დ რამდენიმე მინუტს თვა-

ლები გამიშტერა, მე შემრცხვა და ვიგრძენი რომ გავ-
წითლდი.

—ახ! ნუ თუ თქჳენა ხართ? სთქჳა იმან ჩვეულებრ გამბედაობით და წმინდის გულით, რა თან თმაზედ კე-ლი გადაისო.—განა შეიძლება აგრე გამოიცვალოს ქალი! როგორ გაზდილხართ! ესეც კოკორი! მაგრამ უკაცრაოდ, ახლა გაშლილხართ და შეცვლილხართ გაშლილ ვარდად.

იმან მომცა თავისი კელი, მომიჭირა მაგრა, პა-ტიოსნურად, მხოლოდ არა მტკენია. მე ვიფიქრე, კელ-ზედ მაკოცებს მეთქი, როდესაც თავი დაიხარა, მაგრამ მეორედ კიდევ მომიჭირა კელი და შიგ თვალებში ჩა-მაცქერდა, თავის გამბედაობის და მხიარულის სახით.

ექვსი წელიწადი იყო არ მენახა ისა, ძრიელ შეც-ვლილიყო; თითქმის დაბერებულ იყო, გაშავებულ იყო და ბაკენბერდები დაგმელებოდა, რომელიც სრულებით არ უხდებოდა; მაგრამ ისეთივე გულის-სიწრფიელე ჰქონდა, როგორც ადრე, პატიოსნური, გონიერი და ელვარე თვა-ლები, ამასთანავე ყმაწვილური ღიმილი.

ხუთი მინუტის შემდგომს ის სტუმარი აღარ იყო; ის იყო შინაური ყველასათვის, თითონ მოსამსახურე-ებიც კი ყველანი გამხიარულდნენ იმის მოსვლით.

ის ისე კი არ იქცეოდა ჩუჱნთან, როგორც მეზო-ბელი მებატონეები, როდესაც ჩუჱნსა მოვიდოდნენ, დედი ჩუჱნის სიკუდილს შემდგომს. ისინი როდესაც მოვი-დოდნენ ან უნდა ეტირნათ, ან ჩუმათ უნდა მსხდარიყვნენ, სერგეი მიხაილიჩი სრულებით ისე არ იყო. ის იყო

მოლაპარაკე, მხიარული და სრულებით არ გაუხსენებია დედა ჩჳჱნი,—ეს მე მიკვირდა ძრიელ, რადგანაც შინაური კაცი იყო და ასე გულგრილად რათ არის დედაჩემზედა მეთქი, მაგრამ იმას სულ სხვა აზრით სჩადიოდა,—იმ აზრით, რომ იმის მოგონებით ნაღველი არ მოეგონებინა ჩჳჱნთვის. როდესაც საღამო შეიქნა, კატინკამ დაიწყო ჩაის კეთება, სასტუმროს ოთახში, სადაცა გაგვეტარებინა ექვსი შვიდის წლის წინათ, საუკეთესო დღეები, როდესაც დედა ცოცხალი გვყვანდა. მე და ჩემი და სონა მოუსხედით კატინკას გვერდით; ჩჳჱნმა მოსამსახურემ გრიგორიმ, გაუკეთა მამი ჩემის ნაქონი ჩიბუხი, რომელსაცა სწევდა სერგი მიხაილიჩი და თან ბოლთასა ჰკრავდა.

—რა საშინელი ცვლილება მომხდარა ამ სახლში, რომ დავფიქრდები! სთქჳა იმან რა შესდგა.

—დიახ! მიუგო კატინკამ ამოხვრით და რა შეხედა მოუვიდა ტირილი.

—თქჳენ მგონია გახსოვთ მამა თქჳენი? მომიბრუნდა ახლა მე.

—ძრიელ ცოტათი, მიუგე მე.

—რომ ცოცხალი ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა ახლა თქჳენთვის! წამოიძახა იმან და დამიწყო ყურადღებით სინჯვა, მე ძრიელ მიყვარდა მამა თქჳენი! დაუმატა იმან მშვიდობიანის და ნელის ხმით.

—კარგი იქნებოდა, მაგრამ ღმერთმა წაგვართო! სთქჳა კატინკამ და კელცახოცით დაიწყო ცრემლების წმენდა.

—დიახ, დიდი ცვლილება მომხდარა ამ სახლში, განიმეორა იმან და მიუბრუნდა სონას.—სონა, აბა მაჩვენე შენი სათამაშოები. ესა სთქვა და გავიდა ზალაში. სავსე ცრემლიან თვალებით შევხედე კატინკასა, რომდესაც სერგეი მიხაილიჩი გავიდა.

—რა კარგი მეგობარია სახლისა, სთქვა კატინკამ.

მართლადაც, როგორღაც გული გამეშალა; რომდესაც ვნახე თანაგრძნობა და გულმტკივნეულება, უცხო კაცისა.

სასტუმროს ოთახითგან შემოისმოდა იმისი ხუმრობა სონასთან. ჩაი შეუგზავნეთ იქა; ბოლოს შემოგვესმა, რომ მიუჯდა ფორტოპიანოს, სონას პაწაწა ჴელები ეჭირა და იმას აკვრევინებდა.

—მარია ალექსანდროვნა! დამიძახა იქითგან მე! შემოდით ჩვენთან და დაუკარით რამ ფორტოპიანოზედ.

ძრიელ მესიამოვნა, რომდესაც მართალის გულით, მეგობრულათ და ბძანებითის ხმით დამიძახა, მაშინათვე ავდექი და შევედი.

—აი, დაუკარით ესა,—სთქვა იმან და გადაშალა ნოტების რვეული, ვნახოთ, როგორ უკრავთ, დაუმატა იმან და დადგა კუთხისაკენ, სტაქანი ჴელში.

არ ვიცი რათ ვიგრძენი, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა, როგორც უნდა ცუდად დამეკრა, მორჩილებით დავჯექი და დაუკარი როგორც შემეძლო, თუმცა ვიცოდი, რომ ის უკეთ უკრავდა და უყვარდა მუსიკა. რომდესაც ერთი ჰანგის დაკვრა გავათავე და მეორე უნდა

დამეწყო, იმან გამაწყვეტინა ჲ მითხრა: ეგ პირველი კარგათ დაუკარი, მაგრამ მეორეს ნუღარ დაუკრავ, მაგ ჭანგს შენ კარგათ ვერ უკრამო. საშინლათ მესიამოვნებოდა იმ კაცისაგან ეს სიტყვები, რომელიცა იყო მამის ჩემის თითქმის თანატოლი, ყმაწვილობაში მეალერსებოდა როგორც ყმაწვილს ჲ ახლა, როდესაც დიდი შევიქენი თავაზიანათ მექცეოდა. როდესაც ღამის რვა საათი შეიქნა, კატინკამ სონა გაიყვანა თავის ოთახში დასაძინებლად, ჩუჱნ ორნი დავრჩით მარტო ზალაში.

იმან დამიწყო ლაპარაკი მამა ჩემზედ, თუ როგორ გაიცნო თავ ჲ პირველად, როგორ მხიარულად სცხოვრებდა ოდესმე, როდესაც მე ტიკინები მიყვარდა, იმისის ლაპარაკით, მამა ჩემი ძრიელ შემიყვარდა, თუმცა დიდიხნის მკვდარი იყო, დამიწყო კითხვა, თუ რა უფრო მიყვარდა ახლა, ან რას ვაპირებდი, ჲ დამიწყო რჩევის მოცემა. ახლა ის აღარ იყო ჩემთვის ხუმარა, მხიარული, როდესაც გამაჯავრებდა ჲ ტიკინებით შემაქცევდა ოდესმე,—ის იყო დამჯდარი კაცი, მართალის გულისა, რომელიცა უნებლიეთ აღვიძებდა ჩემში იმის პატივის-ცემას. მე ვიყავი იმასთან თავისუფლად, სიამოვნებით ჲ ამასთანავე ვგრძნობდი აღუწერელს ბედნიერებასა, რასაც სიტყვას ვიტყოდი, სიფრთხილით მეთქვა ვცდილობდი, რა არის თავი შემეყვარებინა.

როდესაც კატინკამ სონა დააძინა, ისიც ჩუჱნ შემოგვიერთდა ჲ მოჰყვა, თუ როგორ მობეზრებული მქონდა სოფელი.

—რაც პირველი იყო, იმისი არა მითხრა რა, სთქჳა სერგეი მიხაილიჩმა და თან მე შემომხედა საყვედურის სახით.

—რა გითხრა! უთხარი მე: თავს მოგაბეზრებთ ამითი,—მართალია მომბეზრდა მარტო აქ ცხოვრება, მაგრამ არაუშავსრა, გაივლის. მართლადაც ახლა სწორეთ მეჩვენა, რომ ამ ნაღვლიან მდგომარეობამ კიდეც გაიარა და თითქოს თავის დღეშიაც არ მენახა ნაღველი.

—ეგ კარგი არ არის, რომ მარტოკობა ვერ აიტანოს ქალმა,—მითხრა იმან,—იქნება მართლა ახლა გასათხოვარი ქალი ხარ?

—რასაკვირველია, რომ გასათხოვარი ვიყო, უპასუხე სიცილით.

—მაშ ვერა ყოფილხარ კარგი ქალი, რომელსაცა თუ გარს ახვევიან ნათესავები, უხარიან და, როდესაც ჩამოეცლებიან, ისიც ფრთებს ჩამოუშვებს.

—კარგის აზრითა ხართ ჩემზედ, უთხარი მე.

—არა! წარმოსთქჳა იმან რა ცოტა შესდგა,—ტყვილად კი არა გვეხართ მამა თქჳენს. თქჳენა გაქვს კეთილი ხასიეთი, გულჩვილი და ეს ძრიელ სასიამოვნოა, თქჳენ ნაღველი არც უნდა გქონდეთ და არც ინაღვლოთ. თქჳენა გაქვსთ მუზიკა, რომელსაცა უკრავთ, გაქვსთ წიგნები, მთელი სიცოცხლე გიძევთ წინა, რომლისა თვისაც ახლა უნდა მიემზადნეთ ისე, რომ შემდგომში სამწუხაროდ არ შეგექნათ. ერთის წლის შემდგომს გვიან იქნება.

ის ისე მელაპარაკებოდა, როგორც ელაპარაკება გულ-მტკივნეულობით მამა შვილსა; ბიძა ძმის წულსა, მაგ-რამ ვატყობდი რომ ცდილობდა, ჩემთან თანასწორ არ დამდგარიყო ღირსებით.

დანარჩენი დრო იმდამისა მოისმარა, კატინკასთან ლაპარაკით, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩუენნი შინა-ური მამულების საქმეები.

— ახლა კი მშვიდობით, საყვარელნო მეგობარნო, სთქუა იმან რა წამოდგა ფეხზედ, მომიახლოვდა მე და მომცა ჴელი.

— როდის ვნახავთ კიდევ ერთმანერთი? ჰკითხა კატინკამ.

— გაზაფხულზედ, მიუგო იმან და თან ეჭირა ჩემი ჴელი. ახლა წავალ ერთ ერის თქუენს სოფელში შე-ვიტყობ იქაურს გარემოებასა, გავაკეთებ თუ რამ გასა-კეთებელია, მერე წავალ ქალაქში ჩემი საქმების შესა-ხებ და ზაფხულს აქ ამოვალ.

რა ანბავია ასრე დიდხანს? უთხარი მე ნაღვლი-ანის და მოწყენის ხმითა. მართლადაც იმედი მქონდა მენახა ყოველ დღეს და ეს რომ გავიგე, მეტად დამა-ნაღვლიანა.

— დიახ! წიგნები იკითხეთ ხშირად, ნურას ფიქრს თავს ნუ მისცემთ, მითხრა იმან, რომლის სიტყვები მეჩვენა ცივად. როდესაც მოვალ ზაფხულში, გკითხავ რა გაგიკეთებია და რა მოგიმატებია სწავლისათჳს. კითხვა წიგნებისა საჭიროა, დაუმატა იმან და არ უშვებდა ჩემს ჴელს ჴელიდგან.

როდესაც წინა ოთახში გავიდა და შუბას ისხამდა, კიდევ დამაცქერდა დიდის ყურადღებით. ტყვილათა ცდილობს ესა! ვიფიქრე მე, იქნება ფიქრობს, რომ მე მესიამოვნება, როდესაც თვალი თვალს მიყრის ძრიელ კარგი კაცია . . . მხოლოთ ეს არის, სხჳ ხომ არაფერი.

მაგრამ იმ ღამეს მე და კატინკას ძრიელ დიდხანს არ დაგვეძინა, სულ იმას ვლაპარაკობდით, თუ მომავალს ზაფხულს როგორ გავატარებდით დროსა, ან სად ვიცხოვრებდით. საშინელი კითხვა, თუ რისთჳს? აღარ წარმომდგენია თვალთ წინ. ახლა ისე მეჩვენებოდა, რომ უნდა მეცხოვრა, მეცოცხლა, ვყოფილიყავი ბედნიერი და მომავალის ბედისათვის უნდა მოლოდებით მეყურებინა. უცებ, მომეჩვენა, რომ ჩჳენი სახლი შეიქნა მხიარული, ბედნიერი და ბრწყინვალე.

## II.

დაგვიდგა გაზაფხული. ადრინდელმა ნაღველმა გადაიარა და რაღაცა იმედი მხიარულებისა მომეცა. თუმცა ისე აღარ ვატარებდი დროს როგორც ზამთრის პირში, მაგრამ სონასაც წიგნს ვაკითხებდი და მეც გონების გასართობად წიგნებს არ ვეშვებოდი; ხშირად შევიდოდი ბაღში, მარტოდ დავდიოდი ხეივანებში ან ჩამოვჯდებოდი სადმე ხეივანში სკამზედ. ღმერთმა იცოდა თუ რაზედ ვფიქრობდი, ან რა იმედს მოველოდი. ზოგჯერ მრთელი ღამე ვათენებდი, რა ვიჯექი ჩემი საწოლის ოთახის ფანჯარაში; ბევრჯელ დილით ადრიან კატინ-

კას ჩუმათ, ბაღში დავსეირნებდი ნამიანს ბალახში და ერთხელ მთვარიან ღამეს თითქმის მრთელი მინდორი რომელიცა გვქონდა კარ წინ, დილით ადრიან მოვიარე და ისე მოველი შინ.

ახლა, ძნელად მეჩვენება მოვიგონო ის აზრები, რომელიც წარმომიდგებოდა ხოლმე მაშინ თვალთ წინ. თითქმის, არა მჯერა როდესაც მომაგონდება ახლა მაშინდელი ფიქრები, რომ ის იყო ჩემი ფანტაზიები.

მაისის ბოლოს, როგორც გვითხრა, სერგეი მიხაილიჩი დაბრუნდა ჩვენს სოფელში.

პირველად მოვიდა უცებ იმ დროს ჩვენსა, როდესაც სრულებით არ მოველოდით, ჩვენ ვისხედით ბაღის ხეივანში და ვსვამდით ჩაისა. მრთელი ის ბაღი მწვანეთ შემოსილი იყო და ოთხკუთხივ გაჰყეფდნენ მაისის ბულბულები, იის სუნი ტრიალებდა მრთელს ბაღში და ეს სუნი კაცს გონებას მისტაცებდა; დასავალი მზის შუქით, ნორჩი ბალახი, თუ ფოთლები, მწვანედა ბრწყინავდნენ. ჰაერი იყო დიდებული, მებაღე რწყავდა ყვავილებს, რომელთაცა ამოეყოთ სასიამოვნოდ თავები. შუაში სტოლზედ, გადაფარებულ თეთრის სუფრით კრიალებდა სამოვარი, რომელსაცა გვერდს ეწყო სარძევე, ახალის მოწველილის რძით და კრენდილები, მე მეცო თეთრი ბლუზი, თმები დახუჭუჭებული მქონდა და ზედ თეთრი კელცასოცი გადაკრეული შინაურად. კატინკამ ჩემზედ უწინ შენიშნა და დაიყვირა: „ოჰ! სერგეი მიხაილიჩი! ეს იყო ახლა შენზედ ვლაპარაკობდით!“ მე

ავდექი და შინისკენ გავწიე, რომ ტანი გამომეცვალა.

—თუ ღმერთი გწამთ, ნუ ცერემონიობთ, ეს სოფელია ხომ ყველამ ვიცით, სთქვა იმან ღიმილით და დამიწყო ყურება, თქუენი მოურავის გრიგოლისა გრცხვენიანთ,—თუ იმისი არ გერიდებათ, მე რისთვის მერიდებით შინაურს კაცსა, მაგრამ მე მეჩვენა, რომ იმ თვალით არ მიყურებდა ის როგორც, გრიგოლი მიყურებს, ამაზედ უფრო შემრცხვა.

—მე ახლავე მოვალ, უთხარი იმას და წაველ შინ.

—რა გაცვია ცუდი! შემომიმახა რომ მივდიოდი,— თითქოს სოფლის გლეხ-კაცის ქალიაო ისე ირიდება.

„როგორ შემომხედა ყურადღებით" ვფიქრობდი მე როდესაც ტანთ ვიცვლიდი აჩქარებით. ოჰ მადლობა ღმერთს რომ მოვიდა, გავმხიარულდებით მაინცა. რა შევიხედე სწრაფლად სარკეში, გამოველ და ჩავირბინე ხეივანში, სადაც იხსდნენ ისინი, სერგი მიხაილიჩი მისჯდომოდა სტოლსა და ელაპარაკებოდა კატინკასა ჩუენ საქმეებზედ. როდესაც შემომხედა მე, ღიმილი მოუვიდა, ჩუენი მამულის საქმეები, როგორც ის ამბობდა ჩინებულს მდგომარეობაში იყო. ახლა მხოლოდ იმ ზაფხულს უნდა ვყოფილიყავით სოფელში და შემოდგომაზედ ქალაქს უნდა ჩავსულიყავით, სონას სასწავლებელში მისაცემად, ან გავსულიყავით სამზღვარს გარეთ.

—თქუენც რომ ჩუენთან წამოხვიდეთ სამზღვარს გარეთ, უთხრა კატინკამ, მაშინ კარგი იქნებოდა, თუ არა და, რა იქნებოდა.

—ახ! რა სიამოვნება იქნებოდა ჩემთვის, რომ მრთელი ქვეყანა მომყვლო თქჳენთან, სთქჳა იმან ხუმრობით, მაგრამ მშვიდობიანის სახით.

—განა არ შეიძლება, ერთად მოვიაროთ მრთელი ქვეყანა, ვუთხარი მე, იმან გაიღიმა და თავი გაიქნია.

—მერე დედაჩემი? საქმეები? სთქჳა იმან,—ეგ არ არის მარტო საქმე, თქჳენ მე მიანბეთ, თუ როგორ გაატარეთ დრო? იქნება კიდევა ნაღვლობდით?

როდესაც უანბე მე იმას, რომ აღარაფერი არ მომბეზრებია და წიგნების კითხვაში გავართვი დრო, იმან დამიწყო ქება, მიალერსა როგორც სიტყვებით, ისე სახის გამომეტყველებით, როგორც ყმაწვილს უყვავებენ, თითქოსო იმას ამაზედ უფლება აქჳსო. ასე მეგონა, უთუოდ მოვალე ვიყავ ჩემი თავს გადასავალი მეთქო იმისათვის. ღამე მოახლოვდა, სამოვარი თავის გაწყობილობით წაიღეს, მაგრამ ისეთი სასიამოვნო საღამო იყო, რომ იქაურობას ჯერ ვერ მოვშორდით და ლაპარაკმაც ისრე მიმიზიდა, რომ ვერ შევიტყე მებაღეების ფეხის მიწყვეტა. ყვავილების სუნი უფრო გახშირდა, საღამოს ნიავზედ, ნამმა დაიწყო თავისი მოქმედება ბალახზედ, ბულბულმა დაიწყო ახლოს ბუჩქნარში ყეფა და ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ თითქოს თავზედ დაიწიაო.

მაშინ შევნიშნე რომ დაბნელდა, როდესაც ღამურამ დაიწყო ჩჳენ თავზედ ფრენა.

—რა მიყვარს თქჳენი სოფელი, სთქჳა სერგეი

მისაილიჩმა,— რა სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის, რომ მრთელი ჩემი სიცოცხლე აქ გამეტარებინა.

—ვინ გიშლის, უთხრა კატინკამ, კიდევაც გაატარეთ რა.

—დიახ, გაატარეო, კაცის სიცოცხლეს, ბედი როდი ეუბნება, დაჯექ და გაატარეო.

—რატომ ცოლს არა თხოულობთ? უთხრა კატინკამ. მერე რა კარგი ქმარი იქნებოდით.

—ამისათვის, რომ ერთს ალაგს მიყვარს ჯდომა, სთქუა იმან და გაიცინა, არა, კატირინა კარლოვნა მე და შენი, შეროვის დრო აღარ არის, დიდი ხანია მე აღარავის უნდივარ ქმრათა, მე ხომ სრულებით ფიქრშიაც აღარ მომდის და უფრო სუბუქათა ვგრძნობ ჩემს თავსა·

ეს იმისი სიტყვები სიცრუეთ მეჩვენა.

—რა კარგია! სთქუა კატინკამ, ოც და თექვსმეტის წლის კაცი ანბობს ამას, ცოლის შერთვის დრო გადამივიდაო.

—მერე როგორ გადამივიდა გააგრძელა იმან,— ახლა მხოლოდ, ერთს ალაგს ჯდომა მიამება. ვისაც ცოლის შერთვა უნდა, იმას სხუა ხნიერებაც უნდა ჰქონდეს, აბა ჰკითხეთ მაგასა; მოიშვირა ჩემზედ კელი. აი მაგათ უნდა შეირთონ, მე და თქუჱნ მხოლოდ მაგათ ბედნიერებით უნდა ვისიამოვნოთ.

ლაპარაკში სჩანდა, დაფარული მწუხარება, რომელიცა შევნიშნე ცხადად. ის ცოტა ხანს გაჩუმდა; ვეღარც კატინკამ და მე უთხარით რამ.

—აბა წარმოიდგინეთ თქუენ, განაგრცელა იმან,—უცებ რომ მე დავინიშნო, როგორმე უბედურებითის შემთხვევით, რომელსამე შვიდმეტის წლის ქალზედ, თუნდა მაგალითადა ვსთქვათ მარია ალექსანდროვნაზედ . . . ეს გასაოცებელი მაგალითი იქნება, მე დიდად მოხარული ვარ, რომ ეს ასე გამოდის . . . . ეს მრიელ კარგი მაგალითი არის.

მე გავიცინე ၯ არ მესმოდა, რაზედ უსაროდა ၯ ეს ასე, ეს ისე რათ გამოდიოდა.

—აბა მითხარით სწორეთ, გულზედ ჴელი დაიწყეთ ၯ ისე მითხარით, სთქუა იმან, რა მე მომიბრუნდა,—უბედურება არ იქნებოდა ეს ჩუენთვის? აბა რა იქნება, ქალმა შეუერთოს თავის სიცოცხლე ბებერს კაცს, რომელსაცა დრო გადაუვიდა ၯ რომელსაცა უნდა მხოლოდ ერთს ალაგს ჯდომა, მაშინ, როდესაც რომ თქუენ ვინ იცის რა იმედები გაქვსთ.

მე შემრცხვა, არ ვიცი რა პასუხი მიმეცა და ხმა გაკმენდით ვიყავ.

—ეგ რა უბედურება იქნებოდა . . . დავიწყე მე.

—არა, არ არის კარგი, დაუმატა ამან.

—მაგრამ შეიძლება, მე შევც . . . .

კიდევ სიტყვა წამართო.

—გესმის რა, მიუბრუნდა კატინკას,—ეს სრულებით მართალია, მადლობელიცავარ ამ გულწრფელებისათვის ၯ მოხარულიცა ვარ, რომ ლაპარაკი ამ საგანზედ ჩამოვარდა. მარტო ეს კი არა, დიდი უბედურება

იქნებოდა ეს ჩემთჳს.

—რა სულელობას ამბობს, წაიბუტბუტა კატინკამ და გასწია შინისაკენ ვახშმის გასაშლელად.

როდესაც კატინკა წავიდა, ჩვენ ორნივენი ჩუმათ ვიყავით, გარშემოც იყო მყუდროება, მხოლოდ ზოგ-ჯერ მესმოდა ბულბულის ყეფის ხმა, მებაღემ გაიარა დასამინებლად. ამ დროს ვიღასიც სტვენის ხმა შემო-მესმა ახლოს ტყითგან. ჩუმათ ყოფნა შემრცხვა, შევხე-დე იმას.

—კარგია სიცოცხლე! სთქუა იმან.

მე ამოვიოხრე რაღაზედაც და არ ვიცი თჳთან, რისთჳს?

—რაო? ვკითხე.

—კარგია, სიცოცხლეო.

—დიახაც და კარგია, მიუგე.

ისევე ხმა გავიკმინდეთ, მაგრამ მე დიდათ მრცხვე-ნოდა, თითქოს მე მეგონა, რომ ვაწყენინე მეთქი, რა დაუთანხმდი იმას ამ აზრზედ, რომ მოხუცებული იყო, მინდოდა როგორმე გული დამემშვიდებინა იმისი ამა-ზედ, მაგრამ არ ვიცოდი რა მეთქო და როგორ დამეწყო.

—მაგრამ, ახლა კი მშვიდობით, დედა მიმელის ვახშამზედ. მე დღეს თითქმის არ მინახავს.

—მე კი მსურდა, ამაღამ ფორტოპიანოზედ და-მეკრა ერთი ჴანგი, რომელიცა ახლა ვისწავლე, უთ-ხარი მე.

—მერე იყოს როდისმე, სთქუა იმან გულგრილად.

— მშვიდობით.

ახლა უფრო მეჩვენა, რომ ვაწყენინე და ძრიელ შემებრალა, მე და კატინკამ გავაცილეთ ალაყაფის კარე-ბამდინ და ვუყურებდით მინამ თვალთ მიგვეფარებოდა, როდესაც იმისი ცხენების ხმა მისწვდა, მიველი და კი-დევ გადავხედე ბაღსა.

ის კიდევ მოვიდა, მეორედ, მესამედ და რა დავიში-ნაური ლაპარაკი გვქონდა პირველად ხეივანში, ის სრუ-ლებით კიდეც გადაგვავიწყდა. მრთელის ზაფხულის გან-მავლობაში, კვირაში ორჯელ და სამჯერ მოდიოდა ჩჳჱნსა და ისე შევეჩვიე იმას, რომ როდესაც დიდი ხანი გაივლიდა და არ მოვიდოდა, მეჩვენებოდა მარტო ყოფ-ნა სამძელოდ; ვჯავრობდი იმაზედ და ვაყვედრიდი, რომ ცუდსა შჩადიოდა, თავს მარტო მანებებდა. ის ისე მე-ქცეოდა, როგორც თავისზედ უნცროსს ამხანაგსა, მკით-ხავდა, მოითხოვდა ჩემგან გულახდით ლაპარაკსა, მამ-ლევდა რჩევას, მაქეზებდა და ზოგჯერ მიჯავრდებოდა. მე ვიცოდი რომ თავის დედაზედ ზრუნვის გარდა, თა-ვის მამულისა და ჩჳჱნი მამულების მოვლის გარდა, სხჳა სააზნაურო საქმეებიცა ჰქონდა, რომლის მიზე-ზით, მტრებიცა ჰყვანდნენ, მაგრამ როგორ უყურებდა ის ამ თავის გარემოებას, ან რა განზრახვა ჰქონდა, ან რა იმედი მე ამისი არა გამეგებოდა რა. როდესაც და-უწყებდი ლაპარაკს იმის საქმეზედ, შუბლს შეიკრავდა და თითქოს მეუბნებოდა: „დამეხსენი ღჳთის გულისათვის, ნუ მომაგონებ, ან რა შენი საქმეაო". მაშინათვე ლა-

პარაკის კილოს შევცვლიდი ხოლმე. პირველად ეს შეურაცხებად მეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც შევეჩვიე, აღარაფრად მიმაჩნდა.

პირველად არ მომწონდა, მაგრამ მერე კიდეც მესიამოვნებოდა, სრული იმისი გულგრილად მოპყრობა. არ მახსოვს ერთხელ ან სიტყვით, ან შემოხედვით ეგრძნობინებინოს ჩემთჳს, რომ მე ლამაზი ვიყავი; ის იცინოდა, როდესაც მეტყოდა ვინმე რასმე ჩემს სილამაზეზედ. იმას უყვარდა თითქოს ჩემი ნაკლულევანება და დამცინოდა, ახალ მოდის ტანისამოს როდესაც ჩავიცვამდი კვირაობით, ის დაიცინებოდა. კატინკამ თურმე იცოდა, რომ მე იმას უყვარდი და უკვირდა, რომ ჩემი მორთულობა იმას არაფრად მიაჩნდა. მე კი მივხვდი, რაც იმას უნდოდა. იმას უნდოდა, რომ მე სიკოხტავე არ შევყვარებოდა, რა არის სხჳას არ მოვწონებოდი. როდესაც ეს შევიტყე, რასაკვირველია ყოვლის გზით ვერიდებოდი კოხტაობას, სიკეკლუცეს და კოპწიობას. მე მხოლოდ ეს ვიცოდი, რომ იმას უყვარდი, როგორც ქმაწვილი და ეს მეირფასად მიმაჩნდა. ვცდილობდი, მეჩვენებინა მე იმისთვის სულის ხასიეთები, ვიდრე გარეგანის შეხედულობით მამეწონებინა თავი. ჩემი თმები, ჴელები, პირი, ხასიეთები, როგორიც უნდა მქონოდა, კარგი თუ ცუდი, ისე მეჩვენებოდა, რომ იმას მოსწონდა, მაშა-სადამე თავმოწონებით და კოპწიობით რას მოუმატებდი, ჩემის სულის თვისებას ის ჯერ ვერა სცნობდა, ამისათვის რომ იმას ვიცოდი უყვარდი. ეს იყო

იმისი, რომ რასაც ჩემს ღირსებაზედ იტყოდა რასმე, ხუმრობით იტყოდა:

—დიახ, დიახ, თქჳენში არის ღირსება, თქჳენ ჩინებული ქალი ხართ, ეს უნდა გამოტეხით გითხრათ.

ამ საჩუქარს სიტყვებს ამისათვის მივიღებდი ხოლმე იმისაგან, როდესაც ვიტყოდი რასმეს და თანავე გრძნობდი. ჩჳენს მოურავს გრიგოლის, რომელსაცა უყვარდა თავის შვილის-შვილი და ეს მრიელ მომწონდა. ან კიდევ როდესაც წავიკითხავდი, საგრძნობელ ლექსა და ტირილი მომივიდოდა, ადრინდელი, სიყმაწვილის ჩვეულება ჩემი იმას არ მოსწონდა და ერთის შუბლის შეკვრით მაგრძობინებდა ამას. ზოგჯერ რჩევას მომცემდა და როდესაც უნდა დაეწყო რჩევის მოცემა, პირველადვე იმის სახის მეტყველებით მივხვდებოდი, თუ რა უნდა ეთქვა; ერთის შემოხედვით, თუ რა იამებოდა და რა ეჯავრებოდა, მაშინდელი ჩემი აზრი, ჩემი გრძნობა ჩემი კი არ იყო, იმისი იყო. წიგნის კითხვას რომ მირჩევდა, ისე შემიყვარდა რომ პირველ კმაყოფილებად მიმაჩნდა წიგნის კითხვა. სონას რომ ვასწავლიდი წერა კითხვას, სამძიმოდ მეჩვენებოდა პირველად, მაგრამ როდესაც სერგეი მიხაილიჩი იქ იჯდა და ჩემ სწავლებას ყურს უგდებდა, მაშინ სიხარულად შემექნა სონას წიგნის სწავლება. იქამდინ სხჳა თვალით უყურებდი ჩჳენ გლეხებს, იმათ დედაკაცებს და ახლა იმან მასწავლა, სხჳა თვალით შეხედვა და მართლადაც სრულებით ის აზრი აღარა მქონდა იმათზედ. ჩჳენი ბაღი, მინდვრები,

და ყველა რაც კი რამ მქონდა, მეჩვენებოდა ახლა მშვენიერად, ტყვილადკი არ მეტყოდა ისა, ერთი ბედნიერება არის ქვეყანაზედა და ეს ბედნიერება ის არის, რომ კაცმა იცოცხლოს მეგობრისათვისაო, პირველად ეს გასაოცებლად მეჩვენებოდა და არ მესმოდა ეს; ბოლოს ეს აზრი მრიელ დაემკვიდრა ჩემს გულში, იმან დამანახვა მრთელი სიცოცხლე სიხარულისა.

ხშირად, იმ ზაფხულს, როდესაც შევიდოდი ჩემს საწოლს ოთახში, დავწვებოდი ქვეშაგებში, ადრინდელის ნაღვლის მაგიერ, ბედნიერების მხიარულება გადამირბენდა როლმე გულზედ. ვერ ვიგრძნობდი, მივიდოდი კატინკას ქვეშაგებში, კრაოტზედ ჩამოუჯდებოდი და ვეტყოდი, სრულებით ბედნიერი ვარ მეთქი. ეს მე იმისათვის არ უნდა მეთქო, როგორც ახლა ვფიქრობ. ისიც მიპასუხებდა, მეც აგრე ვარ და რაღაც მხიარულებასა ვგრძნობო, დამიწყებდა კოცნასა ამ სიტყვებთან, ბევრჯელ ბევრის ლაპარაკით რომ შევაწუხებდი, გამომაგდებდა, წადი კარგი დაიძინე, მეც მეძინებაო. ზოგჯერ ავდგებოდი, რომ არ დამეძინებოდა და ვლოცულობდი, მადლობელი, რომ ამისთანას მხიარულებას მიმცა.

ჩემს ოთახში მშვიდობა იყო; მხოლოდ კატინკას სუნთქვის ხმა ისმოდა რომ ეძინა. საათის მაიატნიკის ჩაკაჩუკის ხმა ისმოდა იმის თავთან კედელზედ. კარები ოთახისა დაკეტილი გვქონდა. მრიელ მინდოდა ამ ოთახიდგან თავის დღეში გარეთ აღარ გავსულიყავი, და სულ მხიარულებითს ფიქრში გამეტარებინა დრო; არ

მინდოდა მალე გათენებულიყო; სულ მინდოდა ღამის სიბნელეში თავისუფლად ფიქრებში გართობა. ასე მეგონა ჩემი ფიქრები, ჩემი აზრები და ლოცვები—ცოცხალნი არსებანი არიან და ცხოვრებენ ჩემთანა მხოლოდ ღამითა მეთქი, თჯთოეული ჩემი აზრი, იყო იმისი აზრი; და თჯთოეული გრძნობა, იმისი გრძნობა. არ ვიცოდი მაშინ, თუ ეს სიყვარული იყო, ასე მეგონა, რომ ეს ასე უნდა იყოს და ეს გრძნობა ისე ეძლევა ადამიანის შვილსა მეთქი.

## III.

ერთს დღეს, მკის დროს, მე, კატინკა და სონა ჩაველით ბაღში, ჩუჱნ საყვარელ სკამთან, საიდანაცა სჩანდა მშვენიერი მინდვრების სანახაობა. სერგეი მიხაილიჩი სამი დღე იყო არ მოსულიყო და იმ დღეს მოველოდით, ამისათვის უფრო რომ ჩუჱნმა მოურავმა გვითხრა, დღეს ამ მინდვრებს უნდა დასხედოსო. მეორე საათი იქნებოდა, რომ იმან ცხენით გამოიარა, ქერის ყანისაკენ. კატინკამ მაშინათვე უბძანა მებაღეს მოეტანა ალუბალი, რომელიცა იმას ძრიელ უყვარდა; შემომხედა ღიმილით და სკამზედ გაწვა, სადაცა ძილიც მოუვიდა, მე მოვგლიჯე ხის ტოტი და იმითი მარაოს მაგიერ ბუზებს უგერებდი, თან მინდვრისაკენ ვიყურებოდი. სონა იჯდა ბალახზედ და ქოხს აკეთებდა სათამაშოს. დღე იყო სიცხიანი, მშვიდობიანი და მზის სიცხარით

ჭაერი აპირებდა შეცვლასა და წვიმის მოსვლასა. შუადღის უკან ღრუბელი თუ იყვნენ სადმე გაიფანტნენ და დღე ისევე მოკრიალებული დადგა. მე გული ამღვრეული მქონდა, როგორც ჭაერი ისე, წვიმის წინათ. გლეხები ურმებით ძნებს ეზიდებოდნენ, რომლის მიზეზით ხმაურობა ისმოდა.

კატინკა ტკბილს ძილში ხვრინავდა, თავზედ ეხურა თეთრი ხელცახოცი; ახალად მოკრეფილი ალუბალი ხახლით იდგა სკამის ბოლოზედ, ისე სიამოვნებით სავსე მქონდა ამ დროს გული, რომ სიხარულისაგან მიცემდა, რა ვქნა? ვფიქრობდი, მე რითა ვარ დამნაშავე რომ ბედნიერი ვარ? მაგრამ ვისთან გავიყო ეს ბედნიერება? როგორ და ვის მივცე ჩემი თავი, სრული ჩემი ბედნიერება? . . .

მოატანა საღამომ, ძნის ზიდვის ხმა მოსწყდა, მუშა დედაკაცებმა მინდვრის მოფოცხვას თავი დაანებეს, მაგრამ სერგეი მიხაილიჩი ჯერ კიდევ არა სჩანდა. უცებ იმ ხეივნითგან, საიდგანაც არ მოველოდი იმის მოსვლას, გამოჩნდა. მხიარულის სახით, მოიხადა ქუდი, ჩქარის ბიჯით მოდიოდა ჩემკენ. რა დაინახა კატინკას ეძინა, ტუჩები იკვნიტა და ფეხის ფრჩხილებზედ წუნარა მოვიდა. მე მაშინვე შევნიშნე, რომ ის ისეთს უმიზეზო სიამოვნებაში იყო, რომელიცა მე ძრიელ მიყვარდა, ის იყო ნამდვილად შეგირდი, რომელიცა სწავლის რომ მორჩება, სიხარულით და ემაწვილურის ცელქობით მორბის შინისაკენ.

—გამარჯობა, პატარა კოკორო, როგორა ხართ? კარგათა ხართ? მითხრა იმან ჩურჩულით, რა მოვიდა და მომაწოდა ჯელი. მე კი მრიელ კარგათა ვარ, დღეს მე ცამმეტი წლისა ვარ, მრიელ გული მებრძღვის ან სუზედ ავიდე, ან ჩილიკა ჯოხი ვითამაშო.

—ეგ სასიამოვნოა, უთხარი მე, რა უუურებდი იმის მოცინარე თვალებს.

—მაგრამ, მაგ მარაოს ცხვირში რათ არტყამ კატინკასა?

ჩემი გონება ისე მიიზიდა სერგეი მიხაილიჩმა, რომ ამ მარაოს მოგერებაში, კატინკას პირს მოხვედროდა და ჯელცასხოცი გადმოვარდნოდა, მე გავიცინე.

—ახლა იტყვის კატინკა არა მმინებიაო, ვთქვი მე ჩუმათ, რა არის არ გამეღვიძებინა; მაგრამ ეს აზრი კი არა მქონდა, მე მინდოდა ჩურჩურით მელაპარაკნა სერგეი მიხაილიჩთან.

იმან დამცინა მე და გამაჯავრა, ამისათვის რომ იმას არ ესმოდა ჩემი ლაპარაკი, ისე ჩუმათ ვლაპარაკობდი. რომ დაინახა ხახლით ალუბალი, აიღო ჯელში, წავიდა, სონასთან დაჯდა და დაუწყო ჭამა.

—თუ გინდათ, უბმანებ კიდევ მოგიტანონ, უთხარი მე,—ან არა და, ჩუჴნ თჳთან წავიდეთ დავკრიფოთ.

იმან აიღო კალათა, ზედ დასვა ტიკინი და სამნი ერთად წაველით მებაღის სახლისაკენ. სონა სიცილით უკან მიზდევდა და პალტოს კალთასა სწევდა უკანითგან,

ტიკინი მომეცით, იმან ტიკინი მისცა სონას და მე მომიბრუნდა მშვიდობიანის ხმით.

—აბა, როგორ არა ხარ კოკორი, მითხრა იმან ჩურჩურით, თუმცა აღარავის ეძინა იქა. როდესაც დავბრუნდი მუშაობითგან, სადაცა ვიშრომე სიცხეში, კოკორი ვარდის სუნი შემომესმა.

—რაო, ხომ კარგათ მიდის მამულის საქმე? ვკითხე მე, რა არის ამითი დამემალა ის სიამოვნება, რომელიცა მომცეს ამ სიტყვებმა.

—მალიან კარგად! ეს გლეხები ჩინებულნი არიან, როდესაც ბევრნი არიან, იმდენი უფრო უკეთესია.

—დიახ, უთხარი მე,—დღეს ვიყურებდი ბაღითგანა, მუშას რომ თავს ადექი, მე მრცხვენოდა, ისინი იტანჯებოდნენ და მე კი აქ განცხრომაში ვიყავი.

—ნუ კოპწიობ, ჩემო მეგობარო, მითხრა იმან მშვიდობიანათ, მაგრამ ალერსით, რა თვალებში შემომხედა. ეს მუშაობა წმინდა და საღმრთო რამ არის.

—მხოლოდ მე თქჳენ ამას ისე გეუბნებით.

—ოჵ, მე ვიცი, აბა, ალუბალი?

მებაღის სახლი დაკეტილი იყო და არც ერთი მებაღე იქ არ იყო, სონას უნდოდა წასულიყო და მებაღისათვის დაეძახნა, მაგრამ სერგეი მიხაილიჩი უცებ ბუჩქნარში გადახტა და დაიწყო ალუბლის კრეფა.

—გინდათ ალუბალი? მომაწოდეთ ხახალი.

—არა, მე თითონ მინდა დავკრიფო.

მინდოდა მენახა, თუ როგორა ჰკრეფდა ალუბალს,

ან როგორ მოქმედებდა, მე ეს ძრიელ მესიამოვნებოდა. მინამ მოუვლიდი ბუჩქანარს, მივეპარე ჩუმათ და მოფარებით უყურე თუ როგორა ჰკრეფდა. ამ დროს შემომესმა იმისი ხმა ჩუმი „საყვარელო მაშა?“ ეს სიტყვები გავიგონე. ამ სიტყვაზედ გონება დამეკარგა. ამ დროს აკი თვალი არ შემომასწრო რომ ყურს უგდებდი, შერცხვა და გაწითლდა, მაგრამ შემომღიმა, მეც გაუღიმე. მრთელს იმის სახეს დაედო მხიარულების სახე, ეს ამ დროს ბებერი ბიძაკი აღარ იყო, რომელიცა მიუვავებდა და მარიგებდა; ის იყო კაცი ჩუმი თანასწორე, რომელსაცა უყვარდი და ეშინოდა ჩემი თავაზით; მიყვარდა მე და მეშინოდა თავაზით. ჩუჱნ აღარაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის. უცებ იმან წარბები შეიკრა, ღიმილი და მხიარულება დაეკარგა და ისევე გულგრილად, როგორც მამა, მომიბრუნდა და სახის მეტყველებით მაგრძნობინა, რომ ეს ცუდი ვქმენით, თითქოსა ის გონებაზედ მოვიდა და მეც მირჩევდა გონებაზედ მოსვლას. რომ დავაპირე სხეზედ ასვლა, დამიყვირა:

— ჩამოდით, რას შვრებით, ჩამოვარდებით, იტკენთ რასმეს, თმები გაისწორეთ, აბა დაიხედეთ, თუ რასა გევხართ.

— არა, მე თითონ მინდა დავკრიფო, ესა ვთქვ და გადმოვხტი ხიდგან.

— რა სულელობას სჩადიხართ! მითხრა იმან და თან გაწითლდა, ცდილობდა დაეფარა თავის გულის აღ-

რეულობა, რომ ფესი ვეღრმო კარგი იქნებოდა? აბა როგორ გასვალთ აქედანა?

სონამ მოირბინა ჩუ̂ფ̂ნთან დ̂ იმან გამოგვიყვანა ამ მდგომარეობიდგან, როდესაც მივედით კატინკასთან, რომელიცა გვარწმუნებდა არ მეშინაო დ̂ სულ მესმოდა რასაც ანბობდითო.

—კაცს შეუძლიან, გაუტყდეს ქალს დ̂ უთხრას მაყვარხარო დ̂ ქალს კი არ შეუძლიან, ანბობდა კატინკა.

—მე კი ასე მეგონა, რომ კაცი უფრო ძნელად გაუტყდება.

—რათა? ვკითხე მე.

—ამისათვის, რომ ტყვილი იქნება, რა საჭიროა, კაცმა არა თქვას, მიყვარხარ? თითქოს რომ ამას იტყვის, მართლა დ̂ ეყვარება. მე ასე მგონია, რომელიც სიყვარულს გამოაცხადებს, ის ან ატყუებს თავის თავს, ან არა დ̂ ქალსა.

—მაშ როგორ შეიტყოს ქალმა, რომ კაცს უყვარს, ჰკითხა კატინკამ.

—ეგ მე არ ვიცი, თქ̂ვა იმან, ყოველ კაცს, თავისი საკუთარი გრძნობა აქვს. ჩაის შემდგომს, მიუჯექი ფორტოპიანოსა, ისიც იქ იყო.

—დაუკარით რამ, დიდი ხანია აღარ გამიგონია თქ̂ვ̂ნი დაკრული.

—მეცა მსურს სერგეი მიხაილოვიჩ! უთხარი უცებ დ̂ შევცქეროდი თვალებში. ხომ არა ჯავრობთ ჩემზედა?

—რისთვისაო? მკითხა იმან.

—რომ არ გაგიგონეთ, ალუბლის კრეფა. უპასუხე და გავწითლდი.

ის მიხვდა, თავი გაიქნია. იმისი შეხედულება მეუბნებოდა, რომ უნდა გამჯავრებოდა, მაგრამ მალა ვეღარ მოსდევდა.

—არაფერი მოხდა, კიდევე ის მეგობრები ვართ უთხარი მე და დავიწყე ფორტეპიანზედ დაკვრა.

ის მიჯდა უკან, ასე რომ ვერა ვხედავდი, მაგრამ ყოველს კუთხეში იმისი სახე თვალ წინ მიდგა. ყოველი იმისი მოქმედება, ინერგებოდა ჩემს გულის სიღრმეში. მე თითონ არ ვიცოდი რას უკრავდი, მაგრამ მგონია კარგათ ვკრავდი და ისე მეჩვენებოდა რომ იმას მოსწონდა. მე ვგრძნობდი იმ ნეტარებას, რომელიც ის სცურავდა, თუმცა იმას ვერა უხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი იმის ჩემკენ შემოხედვასა, უცებ უკან მივიხედე, ვნახე, თავის თავს დაბჯენილიყო და თვალგაშტერებით მიყურებდა.

ის იმ ღამეს დიდ ხანს დარჩა, მამლებმა კიდეც იყივლეს, კატინკამ მოგვაგონა, რომ მესამე საათი იყო ღამისა და დრო იყო ძილისა. ცისკარმა აშოყო ალმოსავლეთითგან თავი, როდესაც ის წავიდა, ის გამოვესალმა ჩვეულებისამებრ, მაგრამ მე ვიცოდი რომ იმ დღითგან ის შეიქნა ჩემი. მე კატინკას კიდეც გაუტყდი, რომ მიყვარდა. იმ საწყალს სიამოვნებისაგან ძილი არ მოსვლია მრთელს ღამესა, მეორე დილით მრი-

ელ ადრე ავდექი. პირველი ნახვა იყო ჩემთვის მზის ამოსვლის ნახვა, მრთელი ღამე სულ იმასა ვფიქრობდი, თუ რათ ანბობდა ბებერი ვარო, როდესაც რომ მე ახალგაზდად მეჩვენება, რათა ჰკარგავს ოქროს დროს, რომელიცა თავის დღეში აღარ დაუბრუნდება მეთქი, რატომ არ მეტყვის „მიყვარხარ“ ერთი სიტყვით მითხრას ესა; გამომართოს ჴელი, მიიკრას გულზედ დ აღვიაროს სიყვარული, ეს რომ ასე ქნას, მეც მაშინვე გაუტყდები. კი არ ვეტყვი, მიყვარხარ მეთქი; მივეხვევი დ დავიწყებ ტირილსა. ვაი თუ ვცდები დ არ ვუყვარვარ? უცებ ეს მომივიდა ფიქრში, ამ აზრზედ, მომივიდა ტირილი დ შეველი ჩემს ოთახში.

(ბოლო მერე იქნება.)

ეპისკოპოსი ქუთაისისა
გაბრიელ.

—

ბედნიერ-არს იმერთ-მხარე,
ჩუენც დაგვნათის ვითა მთვარე,
იგი შორით, ვით ლამპარი
ანთებული ჩუენთჳს არი;
არ განჰქრება არაოდეს,
რაც უნდ ქარი შაებრძოდეს . . .
მას აქუს გული ქართველური,
სიცოცხლით არს საამური;
ჰსწავლით არის დიდი ბრძენი,
მისი ცხადად გამომჩენი;
კეთილობით სავსე არი,
ისე, როგორც მღუდელმთავარი.—

1868 წელსა. დიმ. ბერიევი.
ქ. ტფილისი.

## გამოჩენილის ხირურღის უკანასკნელი დღე.

პარიჟში სცხოვრებდა, ერთი გამოჩენილი ჰქიმი, რომელიცა იყო ხირურღი, იმას ერთვა დუპიტრენ. იმან გამოაჩინა ბევრი ახალი საგანი საექიმო ხელოვნებაში, ამას გარდა ისეთი სწრაფი, რომ რაც უნდა იარა ჰქონოდა ვისმეს ამოსაჭრელი, ან რომელიმე ასო მოსაჭრელი, ერთს მინუტში გაუკეთებდა აპერაციასა. როგორც გამოცდილი და გავარჯიშებული კელი ჰქონდა, ისეთი თვისებაც თვითონ იმის გულსა ჰქონდა. კაცის სიცოცხლე იმის კელში იყო და ამას ისე გულგრილად უყურებდა, თითქოს ხესა სჭრისო, როდესაც ვისმეს აპერაციას უკეთებდა; ერთის სიტყვით დესპოტური ხასიეთის კაცი იყო ასე, რომ ავათ მყოფი, რომელსაც ვსიქჩუათ ფეხსა სჭრიდა, ტიროდა, კვნესოდა, იხვეწებოდა, იტანჯებოდა და ისეთის გაქჩუაბულის გულით სჭრიდა, რომ როგორც ზემოთა ვთქვი, თითქოს სჩხირსა სთლისო, მაშინ როდესაც რომ გარს მყოფნი საცოდაობისაგან ყურებს იცომდნენ და თვალთ ხელს იფარებდნენ. ის იყო ექიმად ლიუდოვიკ მერვის დროს და ეჭირა გამოჩენილი ალაგი სამსახურში და დიდი ხმა ჰქონდა მრავალს ექიმებში. ვისთანაც არ იყო კარგად და სმულდა, იმას დიდად ავნებდა ხოლმე, არ დას-

დევდა ის კაცთ მოყვარებასა, უფრო მეტად იმას ეჯავრებოდნენ მღჳდლები ასე, რომ გაჭირება ჰქონოდა მღჳდელს ავათმყოფობაში, ზედ არ შეხედავდა და უარს ეტყოდა. ის ისეთი კაცი იყო, რომ თითქმის სარწმუნოებასაც უარს ჰყოფდა.

დუპიტრენ მუშაობდა მრიელად, როგორც ზამთარს ისე ზაფხულს დგებოდა ხუთს საათზედ დილით. შვიდ საათზედ ის ბოლნიცაში იყო ავათმყოფებთან, სადაცა რჩებოდა თერთმეტ საათამდინ, შემდგომს დაუვლიდა თავის ავათმყოფებს სახლებში, ბოლოს მოვიდოდა შინ, რომ ახლა მიეღო ავათმყოფები. თუმცა ვინც შინ სახლში მოდიოდნენ, დაუფერებლივ მალე ისტუმრებდა და თავითგან იშორებდა, მაგრამ ავათმყოფები მაინც ყოველ დღე საღამომდინ მრავლისაგან მრავალნი მოდიოდნენ.

ერთხელ, დაღალული შინ დაბრუნდა და ახლა სახლში მისულთ ავათმყოფებს სინჯავდა თითო თითოდ,—— მრიელ გვიან მორჩა ამ ავათმყოფების დასინჯვას ასე, რომ ჩვეულების დროს გადასცილდა, რადგანაც ბევრნი იყვნენ,—როდესაც სულ გაათავა და შედიოდა დაღალულ-დაწყვეტილი კაბინეტში დასასვენებლად, უცებ შემოვიდა ერთი დაგვიანებული ავათმყოფი. ის იყო მოხუცებული კაცი, რომლის წლოვანების შეტყობა შეხედვით ძნელი იყო. სრული, მრგვალი, შეწითლებული პირის-სახე აძლევდა იმას რაღაცა უმაწვილკაცობის შეხედულობასა, თუმცა ზოგი ერთს ალაგს არ იყო რომ პირის კანი

დასჭმუჭნოდა. ტუჩები, სწორე სურათივით ცხვირი, ხე-
ლები და ფეხები, ჰქონდა საამურად მოწყობილი. ცის-
ფერს თვალებში, იმის სახეზედ, იმის მიხვრა-მოხვრაში,
სრულს იმ პატარა ღჳ̂თიურს არსებაში ჰსჩანდა სიმ-
შვიდე, კეთილ-ლმობიერება და მღჳ̂თიური კაცთ სიყუა-
რული. იმ კეთილს მოხუცებულს იმ გვარი ბედნიერი
შეხედულობა ჰქონდა, რომ ვინც შეხედავდა, თვალს ვე-
ღარ მოაშორებდა. არ შეიძლებოდა პირველსავე ნახვით
ის კაცს არ შეჰყვარებოდა. ამ მოხუცებულს თავით ფე-
ხებამდინ შავათ ეცო და კელში ბზის ხის ჯოხი ეჭი-
რა. ახალ მოსულმა, დოკტორს დუპიტრენს ქუდი მოუ-
ხადა, და რომ მოიხადა, თავზედ გამოუჩნდა შავი ხავერ-
დის სკუფია. ეს იყო მღჳ̂დელი.

—ნება მიბოძეთ, ბატონო დოკტორო, უთხრა ახ-
ალმა მოსულმა, ჩამოვჯდე სკამზედ. მუხლები ისე მხცო-
ვანი მაქუს, რომ ძლივსღა ვდგევარ ფეხზედ. . . . . ამ
ორის წლის წინეთ, კისერზედ რაღაც მუწუკი გამომი-
ვიდა. ჩუ̂ენი სოფლის ლეკრმა, —მე მღჳ̂დელი გახლა-
ვართ ბატონო ნამურის სოფლისა, —მითხრა ჯერ
პირველად, რომ ეგ არაფერია, გაივლისო, მაგრამ ეს
კისერი ყოველთვის მტკიოდა და უფრო ტკივილი მე-
მატებოდა. ხუთი თვის შემდგომს ეს მუწუკი თავის-თა-
ვად გასკდა. მე ქვეშაგებში დიდ ხანს ვიწექი, მაგრამ
უკეთობა არ დამეტყო, რომ არ იქნა, მეტი გზა არ
იყო, უნდა ქვეშაგებითგან ავმდგარვიყავი ამისათვის რომ,
ჩუ̂ენს სოფელში ჩემის მეტი მღჳ̂დელი არა ვინ არის

და გარშემო სოფლებშიაც, ოთხს სოფელში მხოლოდ მე ვწირავ ხოლმე.

—მიჩვენეთ ეგ თქუჱნი კისერი?

—ჩემნი კეთილნი მრევლნი, ამბობდა კეთილი მღუდელი და თან კისერს იხსნიდა,—ჩემნი კეთილნი მრევლნი მეუბნებიან, მამაო, ერთს სოფელში, სადაცა სახლი გაქუსთ, იქა სწირეთო, შორს სიარული არ შეგვიძლიან და ჩუჱნ თვითონ ჩუჱნის სოფლებიდგან მანდ მოვალთო, ის საწყლები, ღარიბნი არიან, მთელი კვირა იტანჯებიან მუშაობაში, ერთს კვირას დღეს მაინც უნდათ მოსვენება, აბა ჩემის სოფლის ეკლესიაში რომ იარონ, მთელი დღე მარტო წასვლა—მოსვლას მოუნდებიან. მე ვიფიქრე: ეს უსამართლობა იქნება მეთქი. ჩემის გულისათვის უნდა არც ერთი დღე ჰქონდეთ მოსვენება? ამას გარდა, ჩემი იქ სოფელი—სოფლად მისვლა კიდევ ამითია კარგი, რომ სახლობაშიაც მივდივარ და როგორც ჩვეულება და მქონია, იმათ შვილებს ცოტა დარიგებას მივცემ, ცოტა კატიხიზმოთგანაც ვასწავლი რასმეს . . . ჩემა კეთილმა მრევლმა ეს ჩემი შეწუხება რომ ნახა მირჩია, პარიჟში რომ გამოჩენილი დოკტორი ბძანდება, მიდი ჩუჱნო მამაო და ის ნახეო, ვნახოთ რას რჩევას მოგცემსო. დიდხანს ვერა ვბედავდი იქ მოსვლას, რადგანაც ბევრი ფულია საჭირო აქ მოსვლისათვის, ეს ქალაქი ადგილია, ამას გარდა ჩემს სამწყსოში ბევრნი ღარიბნი გახლავან, მაგრამ მაინც დაუჯერე,—ესა სთქუა და გაუწოდა კისერი.

დუპიტრენი დიდ ხანსა სინჯავდა ამ იარასა, საცო-დავს მღუდელს იარის სიღრმე ჰქონდა თითქმის ერთი თითი. ზოგი ერთს ალაგს ისის იყო ჩნდებოდა ანტონ ცეცხლი. დუპიტრენმა ეს რომ ნახა, გაჰკვირდა დიდად თუ ის მოხუცებული ან თუ როგორ იდგა ფეხზედ. შე-უბრალებელმა ხირურღმა, ორივე ხელით გადასწია ნა-პირებითგან იარასა, რომ სრულებით არ გაბრთხილე-ბია და დაუწყო ჩხრეკა ყოვლის მხრივ; ამ ჩხრეკაში, ისე კელს აჭერდა მოურიდებლივ რომ, სხუა ყოფილ-იყო ვინმე, ფიცხლავე წაიქცეოდა და გულს შეუწუხდე-ბოდა. მღუდელი არც კი შეხრილა. როდესაც დუპიტრენმა გაათავა, მოუბრუნა თავი, რომელიცა ცალის ხელით ეჭირა, თვალდაკვირვებით შეხედა მოხუცს და უთხრა გულიგრილად:

— თქუენ მალე მოკუდებით.

კეთილმა მღუდელმა, აკრიფა მხრები, ერთი სიტ-ვაც არა უთქვამს რა და შეიხვია კისერი. დუპიტრენ ამ მღუდელს თვალს ვეღარ აშორებდა. როდესაც შეიხვია კისერი, მღუდელმა ამოიღო ჯიბითგან ხუთმანეთიანი, რომელიცა ქაღალდში გახვეული ჰქონდა და დასდვა სტოლზედ.

— მე მდიდარი არ გახლავართ ბატონო. ჩემნი მრევლნი სულ ღარიბები გახლანან, სთქუა მოხუცმა თჳთ უკეთილესის გულით და ტკბილის ღიმილით. ნუ გა-გამიწყრებით თქუენი ჭირიმე, ამ ცოტას რომ მოგართ-მევთ თქუენისთანა გამოჩენილს და განთქმულს დოკ-

ტურისა . . . მე ძრიელ მოხარული ვარ, რომ თქუენ-თან გახლდით: ახლა შემიძლიან გულ დამშვიდებით მივეგებო მას, რასაც მოველი. შეიძლებოდა ბატონო დოკტორო, დაუმატა იმან ნამდვილ ქრისტიანურის სიმ-შვიდითა, გამოგეცხადებინათ ჩემთვის ეგ დიდი ცნობა, ცოტადი სიბრთხილით, მისათვის რომ მე სამოც და ხუთის წლისა გახლავართ და ეს წლოვანება ისეთი დრო გახლავთ კაცისთვის, რომ სიცოცხლე უნდა. მაგრამ მე თქუენ ბატონო დოკტურო, ამას საყვედურად არ მო-გახსენებთ, არც გამიკვირდა, ამისათვის რომ მაგას მეც მოველოდი. მშვიდობით უპატივცემულესო დოკტორო, ახლა შინ გიახლები, ჩემს კეთილს და პატიოსანს სამ-რევლოში, რომ მოვკვდე იმათთან.

ის გამოვიდა. დუპიტრენ დაფიქრდა, იმისი რკინის გული, იმისი დესპოტიური გრძნობა, როგორღაც მოლ-ბილდა—მოლბილდა იმ კეთილ მოხუცზედ, რომლის სიკუდილი და სიცოცხლე, ამ დოკტორის კელში იყო, ის უცებ გამოვარდა კიბეზედ, სადაცა მღუდელი უწყი-ნარად ჩამოდიოდა.

—უფალო მღუდელო, დაბრუნდით! დაუყვირა დუ-პიტრენმა.

მოხუცი დაბრუნდა.

—იქნება როგორმე გამოგიხსნა, თუ თქუენ თა-ნახმა შეიქნებით და აპერაციას გამაკეთებინებთ.

—ოჰ ღმერთო ჩემო, ბატონო დოკტორო მაშ მე რისთვის გიახელით აქა, უთხრა მღუდელმა, რა დასდ-

ვა სტოლზედ ქუდი დ̃ კედელთან მიაყუდა ჯოხი. დას-
ჭერით, რამდენიცა გსურდეთ.

—იქნება, არ ვიცი, ეგ დაჭრაც უსარგებლო ი-
ყოს, მაგრამ ოპერაცია ძრიელ გვიან გათავდება დ̃ ძრი-
ელ შეგაწუხებს ტკივილი.

—ოპერაცია გამიკეთეთ მხოლოდ დ̃ მე ყველას
მოვითმენ,—მერე იცით, რა გაეხარდებათ ჩემს მრევლს!

—მაშ წადით ახლა ბოლნიცაში, იქ უფრო განს-
ვენებით იქნებით, მომლელნი კეთილის საზოგადოებისა
არიან. ამაღამ დ̃ ხვალ კარგათ მოისვენეთ, ზეგ კი ო-
პერაციას გაგიკეთებ.

—ძალიან კარგი, ბატონო, დოკტურო; დიდად
გმადლობ.

დუპიტრენმა დაწერა პატარა ბარათი, მისცა მღჳ-
დელს დ̃ გაისტუმრა. რომ მივიდა, მომლელი დედანი
მიეხვივნენ; დააწვინეს რბილს დ̃ წმინდა ქვეშაგებში,
მოუტანეს საჭმელი, ბულკი, სიროპი, ერთის სიტყვით
ყოველის ფერი, რაც კი რამ ჰქონდათ. კეთილმა
მღჳდელმა არ იცოდა სიხარულით, თჳ როგორ გა-
დაესადნა.

მესამეს დღეს ბოლნიცაში შეიყარნენ ექვსასი შე-
გირდი დოკტორის დუპიტრენისა, ისინი ყოველთვის
ოპერაციის დროს, დოკტორს უყურებდნენ, რომ შეესწავ-
ლათ იმისაგან ოპერაცია, რამწამს შეიყარნენ, მაშინთვე
მოვიდა თითონ დოკტურიც, რომელიცა პირდაპირ მი-
ვიდა პატიოსანის დ̃ კეთილის მღჳდლის კრაოტთან

და თანმიჴვენენ ამოდენა შეგირდები. დაიწყო აპერაცია, დუპიტრენი სჭრიდა მუწუკს რაც შეეძლო, დანით, მაკრატლით; იღებდა ჩანგლებით ალაგ ალაგ ჩაშავებულ წამხდარს ხორცებს, დიდის სიღრმითგან, აგრიალებდა შიგ ამ ჩანგლებს და გრესავდა მარღვებს; შემდგომს დაუწყო ხერხვა კისრის ხერხემალსა. ღრუბლებს აფარებდნენ მალმალე მოსამშრალებლად დაჭრილობისა, საიდამაც ნიაღვარსავით გადმოდიოდა სისხლი. ამ გვარად ოპერაციას უკეთებდა ოც და ხუთის მინუტის განმავლობაში, მღჳდელი არც კი შეხრილა. ბოლოს, როდესაც პროფესორმა თქჳა, გათავდაო, და სტუდენტებმა შეგირდებმა ამ ექვსასმა სულმა დაღალულთა ამ საშინელის ხილვით, ამოისუნთქეს თავისუფლად—მღჳდელი ნახეს ცოტა ფერ წასული. დუპიტრენმა ჭრილობა თითონ თავის კელით შეუხვია.

—მე მგონია, ახლა მორჩებით, უთხრა ალერსით. რაო, მალიან გეტკინათ?

—მე ვცდილობდი, ჩემი ფიქრი გამერთო სხჳა საქმეში. როდესაც მჭრიდით, ჩემი ფიქრი, ჩემ კეთილ მრევლთან იყო და ახლაცა იქ არის, ბატონო დოქტორო როგორ გაეხარდებათ, მორჩომილს რომ მნახამენ.

მღჳდელს ჩაეძინა დაღალულობისაგან. დუპიტერმა შეხედა ყურადღებით, ხმა აღარ გასცა, ჩამოუშვა კრაოტის წინ ფარდებს და გამოვიდა.

მღჳდელი დაიხსნა.

ყოველს დილით, რა დუპიტრენმა გამოიცვალა ხასიეთი, რომ მივიდოდა ბოლონიცაში მაშინვე მიდიოდა თავის საყუარელ მღვდლის კრაოტთან. ბოლოს როდესაც მღუდელი მოსულიყო და კარგათ შეიქნა, დუპიტრენი ხელს დაუჭერდა და ზალაში კრაოტებ შუა წუნარის ბიჯით ატარებდა. იმათ, რომელთაცა იცოდნენ დოკტორის შექურუეებული დესპოტური ხასიეთები ძრიელ უკვირდათ, თუ ეს მკაცრი კაცი რამ შეცვალა ისე.

როდესაც სრულებით მორჩა მღუდელი, გამოეთხოვა თავის დოკტორს, იმ კეთილ დედათა, რომელნიცა უვლიდნენ და წავიდა თავის სამრევლოში.

რამდენიმე თვის შემდგომს მღუდლის მორჩენისა, როდესაც დუპიტრენი იყო ბოლნიცაში თავის სამსახურისა გამო, ჩუენი პატიოსანი მღუდელი, ელოდა იმას სახლში, ის იყო ჩაცმული თავის ჩვეულობისამებრ შავის ტანისამოსით, მაგრამ სრულებით გამტვრიანებული, ფეხსაცმელი მტვრისაგან, სულ გასთეთრებოდა. სჩანდა რომ ის სოფლიდგან ქალაქში ფეხით მოსულიყო, ჴელში ეჭირა დიდი, ბზისაგან დაწნული კალათა, რომელზედაც გადაფარებული ჰქონდა ნაჭა, დუპიტრენი რომ მოვიდა, ნახა, მეტად იამა და ჰკითხა, თუ რისთვის მოსულა პარიჟში?

— უპატივცემულესო, ჩემო სიცოცხლის მომცემო დოკტორო, დღეს სწორეთ ერთი წელიწადია, რაც თქუენ მე ოპერაცია გამიკეთეთ, მე არ მინდოდა ეს ექვ-

სი მაისი, ეს ჩემთვის შესანიშნავი რიცხვი თვისა გამეშვა, რომ არ მენახე თქჳენ და არ მომეტანა ეს მცირე ძღვენი. აი, ამ კალათაში გახლავსთ ორი ჩინებული საგანგებოდ თქჳენთვის გაზდილი ვარია და მსხალი ჩემის ბაღისა ისეთი, რომ თქჳენ მიირთვათ.

დუპიტრენმა ჩამოართვა კელი და მეგობრულად მოუჭირა, სთხოვა სადილად იმასთან დარჩომილიყო, მაგრამ მღჳდელმა, სამწუხაროდ, უარი უთხრა ამისთვის რომ იმას მოელოდნენ მრევლნი და უნდა იმავე დღეს საჩქაროდ დაბრუნებულ იყო.

ორი წლის შემდგომს, ექვს მაის, მოვიდა კიდევ ეს პატიოსანი მღჳდელი თავის დოკტორთან, თავისის დიდის კალათით, ვარიებით და მსხლით, დუპიტრენ ამ ძღვენს მიიღებდა ხოლმე დიდის გრძნობით, რომელიცა იქნება თითონაც უკვირდა თავისის გულის ასე გულის სილბილე და ისე კეთილ გზაზედ გამოტრიალება.

ამ დროს დოკტორს დუპიტრენს დაემართა იმ გვარი ავათმყოფობა, რომლის მორჩენა შეუძლებელი იყო. ის წავიდა საწამლავად იტალიაში. მარტის თვეში 1834 წელს დაბრუნდა ისევე ისეთი ავათმყოფი, თითონვე დარწმუნებული იყო რომ უეჭველად უნდა მომკვდარიყო და რამდენიც უახლოვდებოდა სიკჳდილი იმდენი თან და თან ფიქრიანდებოდა.

იქნება იმ უკანასკნელს დღებში, აგონდებოდა თავის ადრინდელი ყოფაქცევა და სარწმუნოების წინააღმდეგობა. ერთხელ შუაღამისას, დაუყვირა უცებ თავის

მოსამსახურეს, რომელიცა იყო მეორეს ოთახში.

—აიღე კალამი და დაწერე, უბძანა იმან,—როდესაც ის შემოვიდა.

„მისს კურთხევას, ნამურის სოფლის მღუდელს“.

„უპატივცემულესო მამაო, თქუჱნი დოკტორი, როგორც ერთხელ თქუჱნ საჭიროებდით, ახლა ეს საჭიროებს, ახლა ეს საჭიროებს თქუჱნს შემწეობას, ჩამობძანდით საჩქაროთ, თორემ, იქნება ვერც კი მომისწროთ.“

თქუჱნი მეგობარი დუპიტრენ“.

მღუდელმა იშოვნა ცხენი, შეჯდა და საჩქაროდ ჩამოიჭრა, მღუდელი და დუპიტრენ დიდ ხანს იყვნენ შეკეტილს ოთახში ორნი ერთად. რასა ლაპარაკობდნენ ეს არავინ იცის, ამის მეტი, რომ როდესაც გამოვიდა მღუდელი, ტირილით თვალები დასწითლებოდა.

ეს გამოჩენილი დოკტორი გადაიცვალა, როგორც, კეთილი ქრისტიანი, თუ იმ ექიმს თავის ექიმობის სიცოცხლეში არ შეხვედროდა ეს პატიოსანი მღუდელი, იქნება ისეთივე აზრებით და ხასიეთბიით მომკვდარიყო, როგორიც აზრები ჰქონდა.

როდესაც მარხავდნენ დოკტორს დუპიტრენს, რომელსაცა დიდ ძალი ხალხი მისდევდა და წინ ეპისკოპოზი თავისის კრებით მიუძღოდა, ეს ჩუჱნი კეთილი და პატიოსანი მღუდელი, თალხებ ჩაცმული, თავშიშველა სკუფიით სამთელი ხელში, როგორც მგლოვიარე, კუბოს უკან მისდევდა ჩუმის ტირილით.—